დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

<u>შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა</u>

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეთერი ბროლაძე

წევრები:

1. ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)
2. ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
3. თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
4. ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
5. თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
6. ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
7. ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
8. ნატო გაბოშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
9. ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
10. ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	247863986

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	შუახევის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი მაწყვალთა, 1-ლი ქუჩა N4
საფოსტო ინდექსი	6300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Matskvalta@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	995 577 17 57 16

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 25 0000580468 27.05.2025წ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26.06.2025—27.06.2025

IV. **ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა- ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	შუახევის მუნიციპალიტეტი . სოფელი მაწყვალთა 1-ლი ქუჩა N4. 1 შენობა.
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	შუახევის მუნიციპალიტეტი . სოფელი მაწყვალთა 1-ლი ქუჩა N4. 1 შენობა.
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	შუახევის მუნიციპალიტეტი . სოფელი მაწყვალთა 1-ლი ქუჩა N4. 1 შენობა.

V. **შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა**

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ- შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე Teams -ის პლატფორმაზე ავტორიზაციის ჯგუფის წევრებისათვის შეიქმნა ვირტუალური სივრცე , სადაც ექსპერტებისთვის გაზიარებულ იქნა როგორც სკოლის თვითშეფასების განაცხადი, ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი ვერსიები, შედგა აქტი, შემუშავდა დღის წესრიგი და მომზადდა დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რომელიც უნდა გადმოეგზავნა სკოლას ვიზიტამდე. ვიზიტის დღისწესრიგი გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომელებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს, პირველივე დღეს, საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. შეხვედრა გაიმართა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, გარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფისა, განხილულ იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების და სხვა ზოგადი საკითხები, ასევე ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებით. დაზუსტებული იქნა საკითხები, რომლის შესახებაც სიღრმისეული ინფორმაცია სჭირდებოდათ, პედაგოგებს მისცეს რეკომენდაციები. საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტსა და პედაგოგს შორის ვიზიტის მეორე დღეს შედგა ონლაინ შეხვედრა. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი გაეცნო დაწყებითი საფეხურის თითოეული საგნის: მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, სახელმწიფო ენა, მე და საზოგადოება- საგნობრივი ექსპერტების მიერ შევსებულ საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმას და გააკეთა თითოეული საგნის შეფასების ფორმის რევიზია.

VI. **ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ**

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. **საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის

არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი მაწყვალთა მიეკუთვნება მაღალმთიან სოფელთა რიცხვს და განთავსებულია მაწყვალთის მთის ძირში. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა წარმოადგენს მცირეკონტიგენტიან სკოლას. საჯარო სკოლის გამორჩეული პრაქტიკაა სკოლის კოლექტივის გუნდური მუშაობა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი. სკოლა ზრუნავს ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისათვის ჯანსაღი, უსაფრთხო და თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნაზე.

სკოლა გამოირჩევა პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური და სპორტული თამაშების დაგეგმვითა და განხორციელებით რომელშიც ჩართულია ყველა საგნობრივი კათედრა. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოსა და სასიამოვნოს ხდის. სკოლას ჰყავს მათემატიკის მენტორი მასწავლებელი, რომლის ჩართულობით განხორციელებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი და ჯერ კიდევ პროექტი „ირმის ნახტომის“ ფარგლებში სკოლას შეემატა ჭკვიანი დაფა, 3 კომპიუტერი,3 ეკრანი და პროექტორი. სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს საგაკვეთილო პროცესში რათა მოსწავლეებს განუვითარონ ციფრული უნარ-ჩვევები და თვლის, რომ მათი მოსწავლეების ძლიერი მხარე სწორედ ტექნოლოგიების ფლობაა. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში. ამ აქტივობებით სკოლა კონკურენტულუნარიანი და მოთხოვნადია ადგილობრივ თემში, თუმცა მაღალმთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელ ტენდენციას -მოსახლეობის მიგრაციას ვერც ეს სკოლა გადაურჩა და მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, ვისთანაც უშუალოდ ვიზიტის პერიოდში შედგა ურთიერთობა, კარგად იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას, სკოლის კულტურას და სასკოლო საზოგადოებასა თუ თემში არსებულ ინტერესებსა და გამოწვევებს. დაწესებულებაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებს პედაგოგთა გუნდურ მუშაობასა და ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას, თვალშისაცემია ფუნქცია-მოვალეობათა ეფექტიანი გადანაწილება, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სასკოლო საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. სპორტულ დარბაზში ტარდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ჭიდაობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი. მიღწეული წარმატებები დადასტურებულია მოპოვებული თასებითა და სიგელებით და შესაბამისი კარადა განთავსებული სკოლის ფოიეში. მძიმე კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სკოლას შეძენილი აქვს თხილამურები და დიდთოვლიანობის დროს, სპორტის პედაგოგის მეთვალყურეობით სრიალსაც სწავლობენ მოზარდები.

სკოლას ჰყავს ერთი მენტორი მასწავლებელი, 2 წამყვანი, 10 უფროსი, ორი მოწვეული და ერთი მაძიებელი მასწავლებელი. ერთი საგნობრივი ექსპერტი სპორტის მიმართულებთ.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. **გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან ; უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოები შესახებ დასკვნის მოპოვება და მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.01.0502025—01.04.2027წ პერიოდში
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტკა და პროცედურები უზრუნვე,ყოფს პოზიციის შესაბამისი კარდების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპების დაცვით	სკოლამ უზრუნვეყოს იდენტიფიცირებული თანამშრომლებისათვის ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ცნობების შეგროვება 2.09.2025-15.10.2025 წლის ვადაში
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახავთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) **საბაზო** **საშუალო**	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....	**დაწყებითი საფეხური**	
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სკოლამ უზრუნველყოს **სახელმწიფო ენაში** პირველი კლასის კურიკულუმის წარმოდგენა რომელიც ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნება გრამატიკის დამუშავებაზე, მეხუთე და მეექვსე კლასის სრულყოფილი კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სსიტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სკოლამ უზრუნველყოს **სახელმწიფო ენაში** 1. განმსაზღვრელი შესაფსების რუბრიკებისა და 2. სრულყოფილად შევსებული განმავითარებელი შეფაების რუბრიკების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში
	საბაზო, საშუალო	
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწე ხორციელბდება შესაბმისის მატერიალურ რესურსით, მოსწავლეთა ადგილებ ზღვრული რაოდენობის გათვალისწინები	სკოლამ უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის** მოწყობა და აღჭურვა 01.05.2025—01.05.2026 ვადაში.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სკოლამ უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე მოქალაქეობა VII და IX კლასების** კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმიტ განსაზღვრულ მიზნებს	სკოლამ უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის** სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებებით სრულყოფილად შევსებული მეშვიდე და მერვე კლასის კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025-8.09.2025 ვადაში
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრონციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სკოლამ უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის** 1.საბაზო საფეხურისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება კონკრეტულად, ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. 2. საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. 2.09.2025—8.09.2025 ვადაში
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამიასად	სკოლამ უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის VII და IX კლასების **მოქალაქეობის** კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში.

ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეე ორიენტირებული პროცესის გადეგმვისა და განვითარების გზას.	სკოლამ უზრუნველყოს **საშუალო საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის კურიკულუმები **მოქალაქეობა XI და XII კლასები,** საქართველოს ისტორია XII კლასი 2.09.2025-8.092025 ვადაში
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სკოლამ უზრუნველყოს **საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის** კათედრის მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩო, თემების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მე-11 და მე-12 კლასების სრულყოფილად შევსებული კურიკულუმები, 2.09.2025-8.09.2025 ვადაში
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**სკოლამ უზრუნველყოს საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის** კათედრის 1.საშუალო საფეხურისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და 2. საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიის რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება კონკრეტულად, ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად 2.09.2025-8.09.2025 წლის ვადაში წარმოდგენა
ინდიკატორი N2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სკოლამ უზრუნველყოს **საშუალო საფეხური ესთეტიკის** კათედრის **მუსიკის** პროექტული სწავლების კურიკულუმის წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	სკოლამ უზრუნველყოს **საშუალო საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის XI,XII კლასის, მოქალაქეობა და XII კლასი საქ. ისტორიის კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025-8.09.2025 ვადაში.

V. **რჩევა**

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სასურველია სკოლამ მოიაზროს ფართი რესურსოთახისათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლოს საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვანი ორგანიზება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციები ხორციელდება მოსწავლის კანონი გათვალისწინებული უფლებების დაცვი და გარანტიების უზრუნველყოფა	სასურველია მორიგე მასწავლებელის მუშაობის განრიგი დამტკიცებული იყო დირექტორის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვთარების გზას.	**დაწყებით საფეხურზე-** მე-5 და მე-6 კლასების, რუსული ენის კურიკულუმები სასურველია იყოს მეტად ორიენტირებული მოსწავლეთა შემოქმდებითი უნარების განვითარებაზე. დასწავლა/გაგებაზე ორიენტირებული პროცესის ნაცვალდ, ყურადღებ უნდა გაამახვილდეს შემოქმდებითი პროდუქტის შექმნაზე; (წერილობითი - მაგალითად: პოსტერი, თხზულება, ცხილი, ბუკლეტ

		და სხვა. ზეპირმეტყველება - კონკრეტული საკომონიკაციო დავალება ფუნქციური დიალოგები, პრეზენტაცია და სხვა); • სასურველია, თუ **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იქნება უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალება, თითოეულ თემასთან დაკავშირებით. • სასურველია, რომ **მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნები** საგნის კურიკულუმებში ნაჩვენები იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**დაწყებითი საფეხურის,** მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში, **რუსულ ენაში ,** საჭიროა დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები; • **საზოგადოებრივ კათედრას** მიეცეს შემდეგი სახის რჩევები: 1.მე-3 ,,კლასის საგან მე და საზოგადოების ფარგლებში" მეორე სავალდებულო თემაში დამუშავდეს ცნება ,,საზოგადოება" 2. მე-4 კლასის საგან ,,მე და საზოგადოებაში "პირველ,მეორე და მესამ სავალდებულო თემაში დამუშავდეს ცნება ,,პიროვნება" 3. მე-5 კლასის საგან ,,ჩვენი საქართველოს" ფარგლებში, თემები გადაიხედოს ახალი სტანდარტის შესაბამისად. არ იკითხება თემა ,,სახელმწიფო" 4. მე-3 , მე-4, მე-5, კლასის კურიკულუმებში იკითხებოდეს მასწავლებლის სახელი და გვარი; სასწავლო წელი.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური დ ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**დაწყებითი საფეხური**-- სასურველია **მათემატიკის** კურიკულუმში შეიტანოთ ის მრავალფეროვანი დავალება, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე რომლებსაც ახორციელებთ გაკვეთილზე, როგორც პრაქტიკული ისე თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ კურიკულუმშიც ჩანდეს დავალებების, აქტივობების დიფერენცირება რომელიც მორგებული იქნება მოსწავლის ინტერესსა და

		შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს სხვადასხვა საშუალებით.) • სასურველია, თუ საგნობრივ **სახელმწიფო ენის** კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.
ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**დაწყებითი საფეხური**--საჭიროა **რუსული ენის** საგნობრივი კურიკულუმის შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს ესგ-ს სტანდარტის გრძელვადიან მიზნებთან. რუბრიკებში უნდა დაკონკრეტდეს სამიზნე ცნება, საფეხურის შედეგები და შუალედური მიზანები (შემოქმდებითი დავალება). მკაფიოდ უნდა გაიწეროს კონრეტულ თემაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები; • სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ იყოს ზოგადი ხასიათის და ასახავდეს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას. მაგ.: მე-5 კლასის **ბუნებისმეტყველება**: კურიკულუმს არ ახლავს მოსწავლის ნამუშევარი და განხორციელებული კომპლექსური დავალების შეფასება.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	• **დაწყებით საფეხურზე უცხოური კათედრის** მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საჭიროების დახვეწას და ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებას. იმისთვის, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და უნდა ჩანდეს მათი კავშირი სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედგებთან. შეფასების რუბრიკები უნდა იყოს შემუშავებული თითოეული შუალედური მიზნისთვის ცალკ-ცალკე და ადაპტირდეს ისეთი ფორმით, რომ ადვილად გასაგებ გახდეს მოსწავლისთვის;

ინდიკატორი N 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**დაწყებითი საფეხური**--სასურველია თუ **სახელმწიფო ენის** კათედრა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისთვის შეიმუშავებს ისეთი ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა ფაქტობრივი ინფორმაციის ცოდნის შემოწმებაზე, არამედ გრძელვადიან მიზნებზე.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბაზო საფეხური** სასურველია, რომ **მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების** კურიკულუმებში ნაჩვენები იყოს თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა. • სასურველია, თუ **ქართული ენისა და ლიტერატურის** საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იქნება უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალება, თითოეულ თემასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბაზო საფეხური** -მე-9 კლასის, **რუსული ენის** კურიკულუმში სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები ზუსტად უნდა იქნას მითითებული, სტანდარტის შესაბამისად; ასევე მე-9 კლასის, რუსულ ენის კურიკულუმში, შუალედური მიზნები, შემოქმდებითი დავალები პირობები, საჭიროებს დაზუსტებას. მკაფიოდ უნდა ჩანდეს შემოქმდებითი დავალების პირობები რა ტიპის პროდუქტის შემნას გულისხმობს. • **საზოგადოებრივ კათედრას** მიეცეს შემდეგი სახის რჩევები:1.გეოგრაფიის, ისტორიის მე7 , მე 8, მე 9 კლასის კურიკულუმებში იკითხებოდეს მასწავლებლის სახელი გვარი, სასწავლო წელი. 2. მე -9 კლასი ისტორის კურიკულუმში პირველი თემის ფარგლებში დამუშაქვდეს სამზინე ცნება ,, წყარო/ ინტერპრეტაცია“. მეორე თემის ფარგლებში ,, წყარო/ ინტერპრეტაცია,საზოგადოება, ძალაუფლება.“ მესამე თემაში დამუშავდეს სამიზნე ცნებები ,,ისტორიული მოვლენა / პროცესი ,წყარო/ ინტერპრეტაცია“; 3.მე -8 კლასის ისტორიის კურიკულუმში

		დამუშვადეს ყველა სავალდებულო თემაში ცნება ,, წყარო/ ინტერპრეტაცია“
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერნცირებულ მიდგომებს	**საბაზო საფეხური**--სასურველია, თუ **სახელმწიფო ენის** საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბაზო საფეხური**- • საჭიროა **რუსული ენის** საგნობრივი კურიკულუმის შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს ესგ-ს სტანდარტის გრძელვადიან მიზნებთან. რუბრიკებში უნდა დაკონკრეტდეს სამიზნე ცნება, საფეხურის შედეგები და შუალედური მიზანები (შემოქმდებით დავალება). მკაფიოდ უნდა გაიწეროს კონრეტულ თემაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები; • **მუსიკის** მოძველებული ზოგადი ხასიათის რუბრიკები საბაზო საფეხურზე ჩანაცვლდეს სამიზნე ცნებების გაგება-გააზრებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით . კათედრამ შექმნას პედაგოგებთან უკუკავშირის წერილობითი დოკუმენტები.სასურველია **ქიმიაში და ბიოლოგიაში** მე-7 , მე-8 მე- 9 კლასებში შეიქმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები რომელიც ასახავს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლ შეფასებას.

ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	• **საბაზო საფეხურზე** • **უცხოური** კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საჭიროების დახვეწას და ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებას. იმისთვის, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული

		და უნდა ჩანდეს მათი კავშირი სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედგებთან. შეფასების რუბრიკები უნდა იყოს შემუშავებული თითოეული შუალედური მიზნისთვის.ცალკ-ცალკე და ადაპტირდეს ისეთი ფორმით, რომ ადვილად გასაგები გახდეს მოსწავლისთვის;
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურს გამოიყენება სასწავლო პროცესში.	**საბაზო საფეხური** სასურველია, რომ **მუსიკის** კურიკულუმებში მითითებულ იქნას დამატებითი რესურსების ლინკები, ხოლო მუსიკი მე-7 და მე-8 კლასების კურიკულუმებში ჩაიწეროს ძირითადი რესურს სახელმძღვანელო და მოცემულ იქნას გვერდები საკითხების შესაბამისად. • **საბაზო საფეხურზე,** მე-7 კლასის **ინგლისური ენის** კურიკულუმში დამატებითი ელექტრონული რესურსის ზოგიერთი ლინკი არ იხსნება საჭიროა კურიკულუმში გადამოწდეს ლინკების ვალიდურობა და განხორციელდეს შესაბამისი ცვილებები.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდებ კურიკულუმით განსაზღვრულ მეთოდოლოგიის შესაბამისად	**საბაზო საფეხური**--სასურველია თუ **სახელმწიფო ენის** კათედრა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისთვის შეიმუშავებს ისეთი ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა ფაქტობრივი ინფორმაციის ცოდნის შემოწმებაზე, არამედ გრძელვადიან მიზნებზე.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტურებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	**საშუალო საფეხური**-სასურველია, თუ **სახელმწიფო ენის** საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იქნება უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალება, თითოეულ თემასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საშუალო საფეხური-საზოგადოებრივ კათედრას** მიეცეს შემდეგი სახის რჩევები: 1. XI კლასის **მსოფლიო ისტორიაში** დამუშავდეს სავალდებულო თემებში ყველა სამიზნე ცნება.
		2. XII კლასის საგან **მსოფლიო ისტორიის** კურიკულუმში გაიწეროს სავალდებულო თემები ,ცნებები.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური დ ითვალისწინებს დიფერცნირებულ მიდგომებს	**საშუალო საფეხური**--სასურველია, **სახელმწიფო ენის** საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახოს დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.

ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საშუალო საფეხური** • სასურველია, მოძველებული ზოგადი ხასიათის რუბრიკები **მუსიკაში** ჩანაცვლდეს სამიზნე ცნებების გაგება- გააზრებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკებით. ასევე ესთეტიკის კათედრამ უნდა წარმოადგინოს შეფასების კრიტერიუმები მუსიკის პროექტული სწავლებისთვის.სკოლაში მოქმედებს ხარისხის ჯგუფი, კათედრა იყენებს ურთიერთდასწრების მექანიზმს, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს და გასცემს ზეპირ განმავითარებელ უკუკავშირს. მომავალი წლიდან, სასურველია, კათედრამ შექმნას პედაგოგებთან უკუკვშირის წერილობითი დოკუმენტები • .საჭიროა **რუსული ენის** საგნობრივი კურიკულუმის შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს ესგ-ს სტანდარტის გრძელვადიან მიზნებთან. რუბრიკებში უნდა დაკონკრეტდეს სამიზნე ცნება, საფეხურის შედეგები და შუალედური მიზანები (შემოქმდებითი დავალება). მკაფიოდ უნდა გაიწეროს კონრეტულ თემაზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები; • სასურველია **ბიოლოგიის** მე-10 კლასის და **ქიმიის** მე-10, მე-11 კ და მე-12 კლასების კურიკულუმებს ახლდეს პროდუქტის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. ფიზიკის მე-12 კლასის კურიკულუმში კი დაკონკრეტდეს კლასი, სახელმძღვანელო, საათები და შეფასება.

ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	• **საშუალო საფეხურზე უცხოური** კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საჭიროების დახვეწას და ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებას. იმისთვის, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და უნდა ჩანდეს მათი კავშირი სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედგებთან. შეფასების რუბრიკები უნდა იყოს შემუშავებული თითოეული შუალედური მიზნისთვის.ცალკ-ცალკე დ ადაპტირდეს ისეთი ფორმით, რომ ადვილად გასაგები გახდეს მოსწავლისთვის;
ინდიკატორი N 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**საშუალო საფეხური**--სასურველია, თუ **სახელმწიფო ენის** კათედრა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისთვის შეიმუშავებს ისეთი ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა ფაქტობრივი ინფორმაციის ცოდნის შემოწმებაზე, არამედ გრძელვადიან მიზნებზე.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	• სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ვერიფიკაციის მექანიზმი

ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი კურიკულუმის განხორციელებისათის საჭირო ადამინური რესურსი	• სასურველია სკოლამ აწარმოოს გაკვეთილის მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაციაგაიცეს წერილობითი უკუკავშირი. • დირექცია/ადმინისტრაციის საათობრივი დატვირთვა გარდა კანონიმდებლობით განსაზღვრული რაოდენობისა შეთანხმებული იქნას შესაბამის უფლებამოსილ პირებთან. • სასურველი იქნება **სამოქალაო განათლების** კვალიფიციური კადრის მოსაძიებლად მიმართოთ მასწავლებელთა პროფესიულიგანვითარების ეროვნული ცენტრს ქვეპროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისაგან და შესაბამისობაშია. მისიაში აქცენტი კეთდება მოსწავლისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს ორგანიზებაზე, რაც მოსწავლის ინტელექტუალური და მორალური განვითარების წინაპირობაა და განმაპირობებელი, რომ მან შეძლოს ზრუნვა ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებისა და დაცვისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიისა და ხედვის ტექსტის მიხედვით, ასევე ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო და აკადემიურად გამართული თანამედროვე სასწავლო გარემო კვალიფიციური კადრების მოზიდვითა და ინფრასტრუქტურის განვითარებით, შეინარჩუნოს დაწესებულებაში არსებული ტრადიციები და გააძლიეროს ის ახალი იდეებითა და ინოვაციური მიდგომებით; . ადმინისტრაცია და მასწავლებლები გასაუბრებისას ადასტურებენ დაწესებულებაში არსებულ თანამშრომლობით გარემოს და თვლიან, რომ სასკოლო საოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით უნდა შეუწყონ ხელი თითოეული მოზარდის წარმატებას, ხელი შეუწყონ ცალკეული ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებას და ბუნებრივი გარემოს დამცველ პიროვნებებად ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა , რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდნენ როგორც სკოლის პედაგოგები , ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები: მშობლები, მოსწავლეები, თემის წარმომადგენლები. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში მონაწილე პირები განისაზღვრა სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნულმა ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა დოკუმენტის პროექტი და დასტურდება ოქმით. შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენისთვის გაუზიარა და გააცნო დაინტერესებულ ჯგუფებს, მათ შორის პედაგოგიურ საბჭოს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ვიზიტის პერიოდში სკოლის საქმიანობაზე დაკვირვებით, ასევე გასაუბრებისას აშკარად გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და კოლექტივი გაერთიანებულია ერთი საერთო მიზნისაკენ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ავტორიზაციის განხორციელების მომენტისთვის სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები ფორმატის ფურცელზე ამობეჭდილი და გაკრული იყო სკოლის ფოიეში . ასევე სკოლამ, სამინისტროს მხარდაჭერით, Skolebi.emis.ge შექმნა ვებგვერდი, სადაც ატვირთულია სკოლასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებულ ტერმინთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის # 448 ბრძანებასთან. სკოლასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტში სკოლა მოიხსენება, როგორც:

„ სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა“.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისია ხედვა ღირებულებების მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანებამისია, ხედვა, ღირებულებები.
2. მისია ხედვა ღირებულებების დაგეგმარების მეთოდოლოოგიის
   დოკუმენტი სკოლის ფეისბუქ გერდის ლინკი
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ჯგუფის
   ოქმი ვებ გვერდის ლინკი
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
   შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის და მათი პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვითა და SWOT- ანალიზით. ვიზიტის დროს დირექციის მხრიდან გაჟღერდა, რომ მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადია და ახალი სასწავლო წლისათვის იგეგემება მოარგონ სკოლის კონკრეტულ საჭიროებებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, მოიცავს 2023-2030 წლებს, მასში დეტალურადაა გაწერილი სკოლის განვითარების ძირითადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, რომლებიც მისიასთან ძირითადად თავსებადია; აღსანიშნავია , რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ სკოლის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ისეთი მოქალაქის აღზრდა რომელსაც განსაკუთრებული ზრუნვა შეეძლება ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებისა და დაცვისათვის რაც გაცხადებულია სკოლის მისიაში. სკოლაში ვიზიტისას გავეცანით სტრატეგიული გეგმის იმ ვერსიას რომელზეც ბეჭდურად იკითხებოდა სკოლის დასახელება, ვფიქრობ, ონლაინ ვერსიაში სკოლის დასახელება საჭიროებს კორექტირებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის სრული, დეტალურად გაწერილი და სრულ შთაბეჭდილებას ქმნის პროცესების და საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრული მიზნებიდან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმა გაწერილია ერთ სასწავლო წელზე. მასში განსაზღვრული აქტივობები გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, გეგმის შესრულების გაზომავდი მექანიზმები და ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/ სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები;

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
2. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითრების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მე-12 მუხლში აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის სხდომებზე ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების სრულფასოვანი ანალიზით და დროული პრევენციული ჩარევით სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ატარებს გეგმებში მითითებული სტრუქტურული ერთეული. გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები,

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დასტურდება (მტკიცებულებები)

1. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლისფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების კითხვარისა და ვიზიტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ სტუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციები ძირითადად ეყრდნობა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსსა და „ეროვნული სასაწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს. დასაქმებულთა ფუნქცია მოვალეობები დაზუსტებულია გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ანგარიშვალდებულების სასკოლო სისტემა. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას, კოორდინაციას უწევს კათედრების მუშაობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურა

სტრუქტურული ერთეულების დებულება

შინაგანაწესი

1. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
2. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
3. შრომითი ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, გამოცემულია შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი აყალიბებს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკას, პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლაში განვითარებულია თანამშრომლობითი კულტურა, დამოკიდებულებები ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზეა დაფუძნებული, სკოლის სტრუქტურული ერთეულის წევრები მუშაობენ გუნდურად, თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებს და საჭიროებებს. უკუკავშირი აგებულია მხარდაჭერაზე, შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც მუხლობრივად გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგიები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები და ღირებულებები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება და მართვის ციკლი, მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და

შეფასება, შრომითი ხელშეკრულებების დადება და გაწყვეტა. დოკუმენტის მიხედვით დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია შეფასების როლი, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირები იცნობენ ერთმანეთის ფუნქცია- მოვალეობებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საქმიანობის შეთავსება. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში თანამშრომლების მიღება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სკოლა განათავსებს https://teacherjobs.ge/ პლატფორმაზე. კანონის შესაბამისად ცხადდება ვაკანსია, იქმნება კომისია და, საკონკურსო ეტაპების გავლის შემდგომ (დოკუმენტაციის გადარჩევა, გასაუბრება) ხდება მოთხოვნათა შესაბამისად კვალიფიციური კადრის შერჩევა. უკანასკნელ პერიოდში სკოლას ჰყავს კონკურსით ერთი მასწავლებელი; შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა გამართულად, კანონმდებლობის დაცვით. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. სკოლის პედაგოგების პირად საქმეებში არასრულად, თუმცა ძირითადად ვხვდებით ცნობებს ნასამართელობის შესახებ, პირად საქმეებში არ დევს და არც საქმისმწარმოებელს აქვს ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №463 დადგენილების „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ "საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის პირობებს, რომლის მიხედვითაც დამსაქმებლმა აღნიშნული დოკუმენტი დასაქმებამდე უნდა მოითხოვოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ცნობების წარმოდგენა 2.09.2025-15.10.2025 ვადაში

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ დასაქმებულთა უმრავლესობის კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებსა და სკოლაში დაკავებულ თანამდებობას. თუმცა ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელი ზოგიერთ საგანში, კერძოდ მუსიკაშა და დაწყებით სწავლებაში ჰყავს უსტატუსო მასწავებელი, ხოლო 1 არის მაძიებელი. სკოლამ განმარტა, რომ მაღალმთიანი რეგიონების მცირეკონტიგენტიანი სკოლების მსგავსად, მათთვისაც დამახასიათებელია კადრების დეფიციტი, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მიგრაციით. ზოგიერთ პოზიციაზე სკოლა ყოველწლიურად აცხადებს ვაკანსიას, მაგრამ მსურველების არ არსებობის გამო, ვაკანსიის შევსება ვერ ხერხდება. სკოლა მიმართავს საათების შიდა განაწილებას კათედრების მიხედვით. სკოლა გეგმავს კვლავ ვაკანსიის გამოცხადებას და იმედოვნებს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის შეძლებს ვალიფიციური კადრის დასაქმებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ სკოლის მუშაობა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც თვალშისაცემი იყო დაწესებულებაში ვიზიტისას. სკოლასი დოკუმენტაციის შემუშავება თუ პროცესის გახორციელება მუმდინარეობს გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად. პედაგოგიური საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და აიღოს პასუხისმგებლობა. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულების მიხედვით, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, ატარებენ ინტეგრირებულ

გაკვეთილებს, ერთმანეთს აძლევენ სიტყვიერ რეკომენდაციებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს, წარმატების გაზიარება ხდება ასევე შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: სკოლის სოციალური ქსელები და სკოლის ვებგვერდი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკა
2. ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
3. სასკოლო ღონისძიებების ამსახველი მასალა
4. საკონკურსო კომისიის ოქმი
5. შინაგანაწესი
6. გამოცხადებული ვაკანსიები

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით სკოლაში ხარისხის მართვაზე პასუხისმეგებლია დირექტორი. ახალი სასწავლო წლიდან სკოლის დირექტორის ინდივიდუალური აქტით განისაზღვრება ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება და მის თავმჯდომარედ განისაზღვრება თავად დირექტორი. ჯგუფის მოვალეობაში შედის სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის განვითარების ჯგუფი ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, შეფასებას, გასცემს უკუკავშირს და რეკომენდაციებს. ამ რეკომენდაციების საფუძველზე მასწავლებლები ეცნობიან თანამედროვე ლიტერატურას , გეგმავენ მომდევნო გაკვეთილებს და ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში, დაადგინოს მათი საჭიროებები და საჭიროებების გადაჭრის გზა/გზები. თუმცა, სკოლა ფიქრობს, რომ ეს ჯგუფი ამ მიმართულებით უნდა დატრენინგდეს, რათა მასწავლებლებმა შეიძინონ უფრო მეტი უნარები მიზნის მისაღწევად. უკუკავშირის საფუძველზე უკეთესად გამოიკვეთოს მასწავლებელთა საჭიროებები და გ ე გ მ ა ვ ე ნ მ ი მ ა რ თ ო ნ მასწავლებლის სახლს შესაბამისი წერილით. სკოლაში შემუშავებულია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკი კათედრების მიხედვთ, გაკვეთილის შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დროულად აწვდის ინფორმაციას სიახლეების და ცვლილებების შესახებ მასწავლებლები რეგისტრირდებიან და ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სავალდებულო ტრენინგებს. პედაგოგები ეცნობიან სწავლების ახალ მიდგომებს/მეთოდებს და ნერგავენ საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებელთა მიერ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ძირითადად მიმართულია სწავლა-სწავლების უფრო მეტად სრულყოფაზე, გამრავალფეროვნებაზე. სკოლის ბაზაზე სისტემატურად იმართება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების, საგნობრივი კათედრების წევრთა შეხვედრები, სადაც ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას, განიხილავენ აქტუალურ პრობლემებს, და ერთობლივი ძალებით გეგმავენ ინტერვენციებს. სკოლა წლებია ნაყოფიერად თანამშრომლობს აჭარის განათლების ფონდთან, “Usaid- ის საბაზისო განათლების პროგრამასთან“.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის დირექცია ხელს უწყობს ახალი კადრის სკოლის სრულფასოვან გუნდის წევრად ჩამოყალიბებას. სკოლა დეტალურად ეცნობა მის პირად საქმეს და ცდილობს ისეთი საქმის განხორციელება დაავალოს პირველ ეტაპზე, რაც გაუადვილებს მუშაობას და შეგუებას ახალ გარემოსთან. ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. სკოლის დირექტორი ახალ კადრს აცნობს სკოლის ისტორიას, წესებს, ტრადიციებს და ამის შემდეგ წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას და პედაგოგიურ კოლექტივს. სოციალიზაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობისათვის კათედრა ხვდება მას, აცნობს სახელმძღვანელოებს, დამატებით რესურსებს, კურიკულუმს, შეფასების ინსტრუმენტებს, შინაგანაწესს, ათვალიერებინებს სკოლას. სოციალიზაციისა და ადაპტაცია- ორიენტაციის პროცესი გამოიყენება აგრეთვე სკოლის თანამშრომლის დაწინაურებისას.სოციალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით კი ხდება მისი ჩართვა სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში (ექსკურსია, კორპორატიული საღამო...). სკოლაში ახალ თანამშრომლებს: აცნობენ გამოსაცდელი ვადის არსს და მნიშვნელობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში); აწვდიან ინფორმაციას ანაზღაურების, სამსახურეობრივი ბენეფიტების და სამომავლო პროფესიული პერსპექტივების შესახებ; აცნობენ სკოლის კორპორაციულ კულტურას, მისიას, ხედვას და სკოლის საქმიანობის უმთავრეს ღირებულებებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება (დაქირავება, ანაზღაურება, წახალისება, დაწინაურება და ა.შ.) ხდება ყოველი ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, დასაქმებულის დამსახურებ(ებ)ის გათვალისწინება. დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესითადა და ს ა ქ მ ე ბ ულთა ხელშეკრულებებით. იქნება ეს მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება თუ ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს შესაბამისი საგნობრივი კათედრის, პედაგოგიური საბჭოს ან მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურეობრივი ბარათი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გამოიხატება როგორც სკოლის შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით, ასევე სკოლის გარეთ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის განვითარებისა და კარიერული წინსვლის ჯგუფის ოქმი.

2. მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ოქმები
3. სკოლის შინაგანაწესი
4. ადამიანური რესურების მართვის პოლიტიკა
5. ინტეგრირებული და სამოდელო გაკვეთილების მასალები; სასკოლო და საკლასო პროექტების მასალები;

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით ჩანს, რომ სკოლის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგისა და შეფასება/რევიზიის მიხედვით.

სკოლა, ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, გეგმავს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ფაქტობრივად ყველა საგანსა და კათედრაზე მოხდება კურიკულუმების გადახედვა, საქმიანობას არა ექნება ერთჯერადი სახე და ის გულისხმობს მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს და გააერთიანებს იმ მექანიზმებს რომელიც შემუშავებული იქნება ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების: სკოლის შინაგანაწესი, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი და სასკოლო საქმიანობის აღმწერი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრულია ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. სკოლაში ვიზიტმა ცხადყო, რომ დასაქმებულმა პირებმა იციან რა, როდის უნდა გააკეთონ და რაზე აკისრიათ კონკრეტული პასუხისმგებლობა. სკოლა გეგმავს, რომ ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებენ მუშობას და პროცესი იქნება ციკლური.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც შინაგანაწესთან ერთად ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას. ამ სისტემაში მოიაზრება დირექცია, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი,ეს სტრუქტურები მუშაობენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. საჩივრებზე და განცხადებებზე რეაგირება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტრუქტურულმა ერთეულებმა იციან საკუთარი უფლება- მოვალეობანი. სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც, რომელთა გაფორმების პროცესი მიმდინარეობდა ვიზიტის დროს და სკოლა თვლის, რომ დაასრულებს ახალი

სასწავლო წლისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესით ხელი ეწყობა სასკოლო საზოგადოების უფლებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებასა და უფლებების დაცვას. თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. მშობელთა ინფორმირებულობა განისაზღვრება სადამრიგებლო პროგრამებით და ხელშეკრულებით. შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება , სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი.
2. ხელშეკრულებები;
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
   საჩივრებისა და განცხადების განხილვის
   წესი

3.3.2. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა** ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, ასევე, უკუკავშირის მიღებას სკოლა ახდენს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, გამოიყენება დასწრებითი ფორმატი, სკოლის მთლიანი პერსონალის შეკრება და ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირის მიღება, მშობლებთან შეხვედრები, სადამრიგებლო პროგრამები. ასევე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელში facebook -გვერდზე განთავსება, ე.წ. ჩატებსა და მესენჯერ ჯგუფებში გაზიარება. ასევე, სკოლის შესახებ

მნიშვნელოვანი ინფორმაციები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო ცოხვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, რასაც განაპირობებს სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების შინაარსი. მაგ.: სკოლაში მოქმედ სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტს შეადგენენ სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში მათი ეფექტური მუშაობისთვის, სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება ეძლევათ, როგორც სამეურვეო საბჭოში, ასევე პედაგოგიურ საბჭოსა და საგნობრივ კათედრებზე. მოსწავლეებს მოსწავლეთა თვითმმართველობაში, ხოლო მშობლებს სამეურვე საბჭოში და კლასის მშობელთა კრებებზე.დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, აწვდიან ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულ თემებზე ტარდება სადამრიგებლო საათი. მოსწავლეთა თვითმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში… თვითმართველობის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ისეთ ღონისძიებებში როგორიცაა,“ ცოდნის დღე“ „ მრავალ ახალ წელს“, „ ბავშცთა დაცვის დღე“, „გაუფრთხილდი დედამიწას, ის ჩვენი სახლია“ და ა.შ მუდმივად ზრუნავდნენ სკოლის ტერიტორიის დასუთავებაში. .

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სამეურვეო საბჭოს ოქმები
2. მრჩეველთა საბჭოს დებულება
3. თვითმმართველობის დებულება.
4. სკოლის ვებ. გვერდის ლინკი/ სოც. ქსელების ლინკი
5. დისციპლინური კომიტეტის დებულება
6. მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი
7. სადამრიგებლო პროგრამა
8. ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შესახებ

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

ადგილზე დათვალიერებით ჩანს, რომ სკოლა ცდილობს შექმნას უსაფრთხო გარემო, რაც საშუალებას იძლევა შეფერხების გარეშე წარიმართოს სასწავლო პროცესი, ეს ეხება როგორც შენობის შიდა პერიმეტრს, ასევე სკოლის მიმდებარე ტერიტორიას. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლის პერიმეტრი დაცულია 24 საათის განმავლობაში სკოლის დარაჯის მიერ. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისად არ აქვს საევაკუციო გეგმა სართულების მიხედვით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შენობის აზომვით ნახაზს. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი რესურსცენტრის უფროსთან შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან შუამდგომლობაზე შენობის მდგარდობის შესაბამისობის დადგენის მიზნით. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოთვალთვალის კამერები. შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო

უსაფრთხოების წესები დაცულია, სკოლის დერეფნებში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ადაპტორები,სკოლას აქვს სტენდები შესაბამისი ხანძარსაწინააღდეგო აღჭურვილობით, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის უწყებასთან თანხმობის დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ სკოლაში გაყვანილია ცენტრალური გათბობა და სკოლა თბება მკაცრი ზამთრის პირობებშიც კი. სკოლა მარაგდება შესაბამისი საწვავით და დამატებით სკოლას აქვს ალტერნატიული მოწყობილობა და უსინათლობის დროსაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს 1.05.20205—1.04.2027 ვადაში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან; წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და მიმართვა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას რამდენიმეჯერ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია ექიმის პოზიციაზე, თუმცა, პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, მუხლი 6 თანახმად, დასაქმებული ჰყავს ექთანი და გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი: სამედიცინო ტახტი, სასწორი, საკაცე, მაცივარი, კარადები, მედიკამენტების კარადა, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები. პროცესის აღწერა მიმდინარეობს შესაბამის ჟურნალებში. ვინაიდან, სკოლა მცირეკონტიგენტიანია სამედიცინო ტახტი არ არის შემოსაზღვრული ხელოვნური ბარიერით და ოთახში არ არის ონკანი, რომლის მოწესრიგებას სკოლა გეგმავს ახალი სასწავლო წლისათვის.

ინდიკატორი შეაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლა რეგისტრაციისათვის არსებობს შესაბამისი ჟურნალი. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია შესაბამისი პირები, გადანაწილებულია მოვალეობები. სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირებს და სკოლის დირექციას, ასევე ამ პროცესებში ჩართულია სკოლის 2 დარაჯი, დამრიგებლები და მორიგეები, რომლებიც მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან გააკონტროლონ მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების

მართვის ცენტრის 112--ნომრების შესახებ. სკოლას დამონტაჟებული აქვს ვიდეო სათვალთვალო კამერები . (საქ. განათლების მეცნიერებისა და სპორტის მინისტრის 29.01.2019 წლის 06/ნ ბრძანების 41-ე მუხლის მოთხოვნა)

ინდიკატორი შეაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის შინაგაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა აღწერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსები ორიენტირებულია სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულისთვის შემუშავებულია სხვადასხვა წესი და სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება არა ერთი საგანმანათლებლო აქტივობა. მასწვლებლები გასაუბრებისას ხშირად აკეთებდნენ აქცენტს მათთვის და მოსწავლეებისათვის პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს მნიშვნელობასა და მისი ჩამოყალიბების ხელშემწყობ მიდგომებზე. სადამრიგებლო პროგრამებით წარმოდგენილია კლასის სათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე.სადამრიგებლო საათის დროს დამრიგებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას ისაუბრონ სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე: როგორიც არის ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახური ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, ბულინგი-კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვთა ფსიქიკაზე და ა .შ

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფ სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, სკოლის ორივე სართულზე არის სველი წერტილები, მათ შორის პირველ სართულზე ადაფტირებული სველი წერტილებიც, რომლებიც მოწესრიგებული და გამართულია, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, ტუალეტებში განთავსებულია ხელშარობები. პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი, ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ სივრცეში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლა შეუფერხებლად მარაგდება ცენტრალური წყლით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას პერსონალური ინფორმაციის დასაცავად, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა აქვს კონკრეტულ პიროვნებას. ასევე კონკრეტული პიროვნებაა პასუხისმგებელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მართვაზე. პეროსნალური ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირის თანხმობის შემთხვევაში. თითოეული მასწავლებელი და დამრიგებელი იცავს მოსწავლეთა პირადი მონაცემების კონფიდენციალობას. კვლევის პროცესებში, სასკოლო პროექტებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის, ფოტო სურათების გასაჯაროებისათვის მშობელთა თანხმობის შესახებ პუნქტი გაწერილია ხელშეკრულების ფორმაში.

ინდიკატორი შეაბამისობაშია.

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; მასწავლებლები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. სკოლის კომპიუტერებში ჩატვირთულია ანტივირუსული პროგრამები. პირადი მონაცემები განთავსებულია eSchool -ის ბაზაში; საქმის წარმოებისთვის გამოიყენება სკოლის იმეილი matskvalta@mes.gov.ge და Eflow. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლა მონაცემების შეგროვებას და დაცვას ახდენს "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით, რაც გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში და შინაგანაწესში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გსაუმჯობესებლად, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს არსებულ მდგომარეობას. ძირითადად მონიტორინგი ხორციელდება მრჩეველთა საბჭოსა და სკოლის დირექციის მიერ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

XI კლასი სადამრიგებლო პროგრამა;
ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი;

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა; საგანგებო
მართვის გეგმა;
ექთნის ჩანაწერების წიგნი;
ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის ინსტრუქცია;
რეფერირების დოკუმენტი;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სკოლა წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, ახალ, კაპიტალურ ორსართულიან შენობას. სოფლის რთული რელიეფისა და მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო, სკოლის მშენებლობა რამდენიმე წელი გრძელდებოდა და სკოლა აღნიშნულ შენობაში 2018 წელს განთავსდა.

სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო, არის პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სველი წერტილები: ცალკე ბიჭებისა და გოგონებისათვის, ადაპტირებული და მასწავლებლებისათვის, ფართო დერეფნები; სპორტული დარბაზი, ექთნის ოთახი და სამასწავლებლო. მეორე სართულზე განთავსებულია შემოსასვლელი ფოიე, საკლასო ოთახები,დირექტორის კაბინეტი, დერეფნები, სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით , მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფით და საჭირო ინვენტარით. სკოლის შენობა გათვლილია 80 მოსწავლეზე, თუმცა ამჟამად სკოლაში სწავლობს 27 მოსწავლე. სკოლაში, კომპოიუტერულ ლაბორატორიაში არის 7 პერსონალური კომპიუტერი, სამი ეკრანი, 5 პროექტორი. 2 პერსონალური კომპიუტერი არის სამასწავლებლოში. სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო გენერატორი, გათბობის ცენტრალიზებული სისტემა თხევად საწვავზე და სკოლას აქვს წყალმომარაგების გამართული სისტემა. სკოლას განსაკუთრებულად აქვს მოწყობილი სპორტული დარბაზი, 15 წყვილი თხილამურით, ბურთებით, საჭიდაო ლეიბებითა და მხიარული სტარტების ჩასატარებელი ინვენტარით. სკოლაში ვნახეთ ელექტრო სარბენი ბილიკი, სავარჯოშო ტრენაჟორი, სხვადასხვა წონის ჰანტელები, ქართული ჭიდაობია ჩოხები სხვდასხვა სახის ბურთები ნიშნულები და სხვა.
სკოლა აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის მერხით, სკამით, მასწავლებლის მაგიდებით, კარადებითა და დაფებია.
სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი და ღონისძიებების ჩასატარებლად გამოიყენებენ სკოლის დერეფანს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ხელი მიუწვდება ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსებით სარგებლობაზე. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მაგრამ ცენტრალური ფოიე გამოიყენება ამ მიზნისათვის. მოსწავლეებისათვის ორივე სართულის დერეფნები წარმოადგენენ დასვენებისა და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ადგილს. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ნოუთბუქებითა და პერსონალური კომპიუტერებით.სკოლაში ტარდება სხვადასხვა სასწავლო და არაფორმალური აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, სპორტული თამაშები და სხვა. ეს ყველაფერი სასკოლო ცხოვრებას ხდის უფრო მრავალფეროვანს, სახალისოს, საინტერესოს და სასიამოვნოს. ასეთი გარემო ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სასკოლო ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით. სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც აღრიცხული და დამუშავებულია სკოლის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნების შესაბამისი ბეჭდური ფორმულარები, წიგნები მე-17 გვერდზე დამოწმებულია სკოლის ბეჭდით. ბიბლიოთეკაში ვხვდებით საგანმანათლებლო რესურსებსა და თვალსაჩინოებებს, რომლითაც აქტიურად სარგებლობენ მოსწავლეები და სკოლის თანამშრომლები, ბიბლიოთეკას აქვს მდიდარი წიგნადი ფონდი, რომელიც ყოველწლიურად ივსება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ სკოლას არ ჰყოლია და არც ამჟამად ერიცხება სსსმ ან შშმ პირი, არ აქვს გამოყოფილი რესურს ოთახი და არც შესაბამისის პერსონალი.

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების გახორციელების მექანიზმი, აცხადებას მზაობას და იღებს პასუხისმგებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზება.
რჩევა: სასურველია სკოლამ მოიაზროს ფართი რესურსოთახისათვის საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვანი ორგანიზებისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა აცნობიერებს, რომ სასკოლო საზოგადოება იმ საზოგადოებისა და თემის ნაწილია, სადაც სკოლა წარმართავს თავის საქმიანობას. შესაბამისად, სწავლა/სწავლების პროცესზე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებასა და თემში არსებული ტენდენციები, ტრადიციები, შეხედულებები, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე

ორიენტირებული სოციო-ემოციური სივრცის მდგრადობას. სკოლაში შექმნილია სოციო-კულტურული სივრცე, სადაც ყველა წევრი თავს გრძნობს ამ სივრცის ნაწილად. სკოლა გამოირჩევა სპორტული ტრადიციებით:კერძოდ, ყავს გოგონათა და ვაჟთა შორის მუნიციპალური ჩემპიონები ფრენბურთში, ასევე, აჭარის პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში. ტარდება შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში; მიღწეული წარმატებები დადასტურებულია მოპოვებული თასებითა და სიგელებით. სკოლაში იმართება პროექტები, კონკურსები, ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურადაა ჩართული ყველა საგნობრივი კათედრა;

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
2. სკოლის წესდება
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
4. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის შემობის ნახაზი

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული 12 პერსონალური კომპიუტერი, სამი პრინტერი სამი კომბინირებული პრინტერი ხუთი პროექტორი და 8 ცალი სტანდარტული ლეპტოპი, სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები. სკოლის შინაგანაწესისა და დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერულ და ადმინისტრაციულ ოთახებში განთავსებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნიკა. სკოლას უწყვეტად მიეწოდება ინტერნეტი. ისტ- ის მასწავლებელი მუდმივ მხარდაჭერას უწევს სკოლის პერსონალს ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივ გამოყენებაში;სკოლაში არსებობს კომპიუტერული ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტი. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გამოკრულია გრაფიკი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობითა და ადგილზე ვიზიტით დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი იყოს ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის; გარდა ისტ-ის გაკვეთილებისა, საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხშირად იყენებენ კომპიუტერულ ლაბორატორიას სხვადასხვა ტიპის კომპლექსური და შემოქმედებითი სამუშაოების მოსამზადებლად. მასწავლებლების განმარტებით, სასკოლო ჟურნალის შევსებისა და დოკუმენტაციის წარმოებისთვის, ისე რომ საგაკვეთილო პროცესს ხელი არ შეეშალოს, იყენებენ სკოლის კომიუტერების ოთახს. საქმისწარმოებაში ჩართულია სკოლის დირექტორიც. მოცემული სისტემა გამოიყენება მასწავლებლებთან, რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საკომუნიკაციოდ. სასკოლო საზოგადოებისთვის. კომპიუტერული კლასი უზრუნველყოფილია ტექნიკითა და მუდმივი ინტერნეტით. კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია სამასწავლებლოში, ბუღალტერისა და საქმისმწარმოებლის და დირექციში. საკომუნიკაციოდ იყენებენ სკოლის ელ. ფოსტას, ასევ ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის EFLOW სისტემას, teams პლატფორმას და სკოლის facebook გვერდს. სკოლსკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და გრაფიკი;

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
2. სკოლის ვებ. გვერდის ლინკი/ სოც. ქსელების ლინკი
3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
4. საქმისწარმოების წესი
5. კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა ეყრდნობა საქმისწარმოების ზოგად ნორმატიულ აქტებს, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა** სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს, მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება : eflow, eschool, outlook , MS Word, MS Excel. MS Power Point, Teams და Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc -სოციალური ქსელი და სკოლის ვებგვერდი. eflow-ს დახმარებით საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ის სრულყოფილად ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლის ელექტრონული სისტემებში ხდება მოსწავლეთა შეფასება და გაცდენების აღრიცხვა https://onlineschool.emis.ge/auth, Google, Teams და სხვა პლათფორმების გამოყენებით

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას შესაბამის რესურსცენტრსა და სხვა მარეგულირებელ უწყებებს. თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის სკოლის ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი
2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა
3. საქმისწარმოების წესი
4. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
5. სკოლების პორტალზე სკოლის გვერდი
6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

შეფასება
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- სკოლის სტრუქტურა;
- სკოლის ფილოსოფია;
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობები.;
- პროგრამები და მხარდაჭერის სერვისები,
- ინფრასტრუქტურა,
- ფინანსები

გასაჯაროებული ინფორმაციები მაქსიმალურადაა დაცული პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონით. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას, teams-ის პლათფორმას, Facebooc-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლის Facebooc-ის გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია). სწავლა-სწავლების პროცესის ამსახველი მასალა ქვეყნდება სკოლის გვერდზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მაქსიმალურად სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების შესახებ.. ეს ეხება მოსწავლეთა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელებას, პარტნიორულ ურთიერთობებს, მემორანდუმით გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელებას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის უკუკავშირის მისაღებად აქტიურად გამოიყენება არსებული საკომუნიკაციო არხები. დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ოფიციალური სოციალური ქსელიდან, შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება დაწესებულების საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვა. სკოლას აქვს ვებ- გვერდი, რომელიც ჩაშენებულია საქართველოში მოქმედი საჯარო სკოლების ერთიან საინფორმაციო პორტალზე (https://skolebi-admin.emis.ge), რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS). სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლის მხრიდან გამოიყენება სხვადასხვა ოფიციალური სოციალური არხი, მათ შორის ფეისბუქის (https://www.facebook.com/matskvalta) სივრცე. სოციალური ქსელის არხი ღიაა, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

საზოგადოებასთან კომინიკაციის შემდეგ მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის შეფასებისათვის, რათა გააუმჯობესოს თავისი საქმიანობის ხარისხი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებ გვერდზე, https://skolebi.emis.ge სსიპ- შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა'' ყველა ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში თუ ეს აუცილებლობით იქნება გამოწვეული, სკოლას აქვს რესურსი საჭირო ინფორმაციის ინგლისურ ენაზე განთავსებისა;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სადაც აღწერილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა, სადაც წარმოდგენილია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები; სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი დოკუმენტები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, საკონტაქტო ინფორმაცია და ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
2. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების ამსახველი დოკუმენტაცია
3. სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულება
4. მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია
5. სკოლის ელექტრონული ფოსტა
6. წერილი ვებ გვერდზე

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სსიპ- შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს თანხა 423932,7 ლარს, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი ხარჯების დაფინასება: სკოლის პერსონალის შრომითი ანაზღაურების დაფინანსება კომუნალური ხარჯების გაწევა; საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა; საოფისე ავეჯი. სკოლას ჰყავს მოსწავლეთა მცირე კონტიგენტი, ამიტომ დამატებით ფინანსდება სახელმწიფო დოტაციის სახით. სკოლა არ ღებულობს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფინანსურ სახსრებს:/გრანტებს, შემოწირულობებს/. სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია, სკოლის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და
უზრუნველყოფილია მისი განხორციელება. ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი დგება და მტკიცდება მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში. ვაუჩერული დაფინანსების ცვლილებასთან ერთად (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა.) ხდება ბიუჯეტის კორექტირება. მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს ვითვალისწინებთ პრიორიტეტულ მიმართულებებს და სავარაუდო ხარჯებს, რომლებიც დგება წინა წლის გამოცდილებებეზე დაყრდნობით. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშს სკოლის ფინანსური საქმიანობის შესრულების შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის და არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შედის ცვლილებები. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს, აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს, ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
2. მრჩეველთა საბჭოს ოქმი
3. დირექტორის ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები. სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმებიდან და სკოლის სტრუქტურიდან ვასკვნით, რომ სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინურ კომიტეტი. სკოლას შემუშავებული აქვს დისციპლინარული კომიტეტის დებულება და გასაჩივრების პროცედურები. დისციპლინარულ კომიტეტში მასწავლებელსა და მშობელთან ერთად თანაბარი რაოდენობის პრინციპით არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი წარმომადგენელი (მოსწავლე). დამრიგებლები სასწავლო წლის დასწყისში აცნობენ მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს შინაგანაწეს, რაც ასახულია მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაში.მოსწავლეების უფლება- მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება მშობელთა კრებებზეც. კლასის დამრიგებლებს აღნიშნული ფაქტი ასახული აქვთ სადამრიგებლო პორტფოლიოში. საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული მოსწავლის ქცევის კოდექსი.სკოლა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვალდებულებას იღებს მოსწავლის

პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვაზე. დაბა შუახევის რესურცენტრის უფროსის ბრძანებით(MES6250001-02 29.05.2025წ.) განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება N 01-02/22(30.05.2025წ.)პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწეილობისა და ანგარიშ ვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვა დამტკიცებულია ბრძანებით N01-02/15 (20.03.2025წ.). კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები, რაც ასახულია მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმებში. სკოლას ჰყავს დარაჯი, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მორიგე მასწავლებლები. შედგენილია მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესის სასკოლო საზოგადოების წევრებთან მისი გაზიარების საშუალებებად სკოლა, კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებს მიიჩნევს, წლის დასაწყისში სადამრიგებლო საათზე მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს.შინაგანაწესის გაცნობას მშობლები ადასტურებენ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. ასევე მოსწავლეები დამრიგებელთან ერთად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახში საორგანიზაციო საკითხებთან ერთად. მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის

მიზნით სკოლის ტერიტორიაზე ეკრძალებათ უცხო პირებს გადაადგილება დირექციასთან შეთანხმების გარეშე. მოსწავლეთა მშობლებს გამოყოფილი აქვთ კვირაში ერთი დღე(პარასკევი 13:00 საათიდან 16:00 საათამდე დროის შუალედი) სკოლაში ვიზიტისთვის, გარდა ამისა მოსწავლეთა მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით დამრიგებლებს აქვთ სხვადასხვა სახის კომუნიკაცია მშობლებთან, მაგალითად სოციალურ ქსელში, სატელეფონო საუბრებით და სხვა, მაგრამ რადგანაც სოფლის მოსახლეობა დასახლებულია ძირითადად სკოლის ირგვლივ, გამომდინარე კლიმატური პირობებიდან, მასწავლებელიც და მშობელიც უპირატესობას ანიჭებენ პირისპირ კომუნიკაციას. **ინდიკატორი შესაბმისობაშია**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის შინაგანაწესი;

2. დისციპლინალური კომიტეტის დებულება;

3. XI კლასი სადამრიგებლო პროგრამა;

4. მშობელთან დადებული ხელშეკრულების შაბლონი;
5.სკოლის მოსწავლეთა თვირთმართველობის ოქმები;
6. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
7. გასაჩივრების პროცედურები
8. დიციპლინარული კომიტეტის დებულება.
9. დაბა შუახევის რესურცენტრის უფროსის ბრძანებით(MES6250001-02 29.05.2025წ.)
10. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება N 01-02/22(30.05.2025წ.)პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწეილობისა და ანგარიშ ვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ,
11. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება N01-02/15 (20.03.2025წ.) პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც ამავე დროს იკითხება სკოლის შინაგანაწესში (მუხლი 42). სკოლამ ნიმუშის სახით წარმოადგინა შესაბამისი ბრძანებები. მაგ.: მოსწავლის კლასსი ჩარიცხვის ბრძანება N 01-08-01 და კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება N 01-04-15 სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის/ფორმების შესაბამისად. სკოლა გადაწყვეტილებებს ღებულობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს დადგენილი წესის მიხედვით.ხდება გაცდენების მუდმივი მონიტორინგი, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი. მოსწავლეთა მშობლების ცნობიერების ამაღლების მიზნით დამრიგებლებს აქვთ სხვადასხვა სახის კომუნიკაცია მშობლებთან.

ინდიკატორი შესაბმისობაშია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეების სახით: სკოლაში ფუნქციონირებს უცხოური ენის კლუბი ,, სიკეთის ცისარტყელა“, ეკო-კლუბი ,, მარეთი“, შუახევის სპორტულ ცენტრთან თანამშრომლობით მემორნდუმის ფარგლებში სკოლაში სპორტული მიმართულებით ფუნქციონირებს ,,ქართული ჭიდაობის“ შემსწავლელი წრე . აღნიშნულ კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან ინტერესის სფეროს მიხედვით. სკოლას ამჟამად არა აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული. თუმცა არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა მიმდინარეობს პროექტების მიმართულებით.სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საფეხურზე განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტები:,, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“; ,,საქართველოს და ცული ტერიტორიები“; ,,ბუნების სილამაზე ეკოლოგია- ადმიანი და ბუნება;“ ,,საქართველოს ფლორა და ფაუნა'' და სხვანი. სკოლის მიერ გაწეული მომსახურების სახეები არ ითვალისწინებს საფასურის გადახდას. აღნიშნული მომსახურების სახეები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სკოლა მეორე უცხოური ენის არჩევისას სთავაზობს მხოლოდ ერთ ენას(რუსული), სხვა ენის კვალიფიციური კადრის არ არსებობის გამო.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. აღნიშნული საკითხი დასტურდება სტრუქტურული ერთეულების ოქმებით, პროექტებით. სკოლის პერსონალის ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. ყველა აქტივობა არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე, სკოლა არ აწესებს შეზღუდვებს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს), დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი,საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, კომპიუტერული ლაბორატორიის და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდებ (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის შინაგანაწესი;
2. ბრძანება კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ;
3. ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ;
4.მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
5. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
6.საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
7. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. კლუბების მუშაობის შედეგად განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები.
10. დაბა შუახევის სპორტულ ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი. შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რაშიც გაწერილია ტრანზიციის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში გადმოსულ ყველა მოსწავლეს უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. პედაგოგებმა საუბრის დროს აღნიშნეს, რომ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს, კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით; თავის მხრივ, მოსწავლეები ცდილობენ გააცნონ საკუთარი თანაკლასელები და სასკოლო სივრცე.

თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან ზრუნავს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეთა ემოციურ მხარდაჭერაზე, რისთვისაც სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება საზეიმო ღონისძიება. საკლასო ოთახების ინფრასტრუქტურა ასაკის შესაბამისია. სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი, ამიტომ შეიძლება ითქვას საჭიროების შემთხვევაში ადაპტაცია/ტრანზიციის პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება და არა მხოლოდ დამრიგებელი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. მასწავლებლები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს სიძნელეების დაძლევაში და

პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. სკოლაში მხარდაჭერილია მოსწავლეთა მონაწილეობა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში.სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოჩენის დროს მასწავლებელს კათედრაზე შეაქვს საკითხი სასწავლო მეთოდების გასაუმჯობესებლად. გამოიყენება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. მასწავლებელს ძირითადად ეძლევა ზეპირსიტყვიერი რეკომენდაციები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა სხვადასხვა საშუალებით უწევს მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა უფლებების რეალიზებისთვისაა გამიზნული. მართალია, სოფლის ინფრასტრუქტურული მოწყობის გამო მოსწავლეები არ საჭიროებენ საელმწიფოს მხრიდან სატრანსპორტო მომსახურებას, მაგრამ მეზობელი სოფლის სკოლა მოიცავს მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურს, ამიტომ მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება საშუალო საფეხურზე, მხოლოდ ერთი მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ექსტერნის წესით გამოცდების ჩატარების მიზნით ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფას, რის გამოც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები. სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ხორციელდება აქტივობები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინდივიდუალურ, ესთეტიკურ და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენაში, რასაც ხელს უწყობს მუსიკალური ინსტრუმენტების მრავალფეროვნება და ისიც, რომ მუსიკის მასწავლებელი თავად ფლობს სხვადსხვა ინსტრუმენტს. ყველა აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის სხვადასხვა უნარის გამოვლენა- განვითარებას სკოლის მხრიდან მხარდაჭერილია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები განიხილება სკოლის სტრუქტურული ერთეულების დონეზე. ზოგადადაც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების წახალისება სკოლის სამოქმედო გეგმის ნაწილს წარმოადგენს. სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი.მოსწავლის ინიციატივის საფუძველზე სკოლა გეგმავს ითანამშრომლოს პროფესიულ სასწავლებელთან. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომლის მეშვეობით წახალისდება სხვადასხვა აქტივობები.მაგ.: ი.ს.ტ. მასწავლებელამა შექმნა ელექტრონული რესურსები 1.დააწყვილე(ქართუ- ინგლისური ტერმინოლოგია); 2.კროსვორდი - გამოიცანი პიქტოგრამა; 3. კროსვორდი- კომპიუტერულ მოწყობილობებზე და სხვანი. **ინდიკატორი შესაბმისობაშია**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან მოსაზრებების გაჟღერება, რათა სკოლამ გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება ძირითადად ხდება მშობელთა კრებებზე. სკოლის დირექცია გეგმავს მშობელთა სასკლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით განახორციელოს გამოკითხვა (შექმნას ე.წ. კმაყოფილების კითხვარი) და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, სკოლაში არსებული ადამიანური რესურსის გამოყენებით განახორციელოს ინტერვენცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ი.ს.ტ. მასწავლებლის ბლოგი;
2. ტრანსპორტის ტაბელი;
3. მუსიკალური ინსტრუმენტების ამსახველი ფოტო მასალა;
4. სამოქმედო გეგმა
5. შეფასების რუბრიკები
6. სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი,

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლას კარგი გამოცდილება აქვს. მოსწავლეთა კარიერული

დაგეგმვის მხარდასაჭერად წლების განმავლობაში ტარდებოდა გაკვეთილები.ეწყობოდა სკოლის კურსდამთავრებულებთან შეხვედრები მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ამაღლების მიზნით. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიზნით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შესაძლო საშუალებებს: არჩევითი საგნების ნუსხას 10-12 კლასებში. სკოლა გეგმავს თანამშრომლობას პროფესიულ კოლეჯ ,,ბლექსთან “, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სწორი აჩევანი გააკეთონ პროფესიული კუთხით. **ინდიკატორი შეაბამისობაშია**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

კლასის დამრიგებლის სამუშაო პროგრამით დასტურდება, რომ კლასის დამრიგებელი მუდმივად აწვდის მოსწავლეებს და მათ მშობლებს ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მათ გეგმაში გაწერილია მომავალი პროფესია (კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციის მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება), რჩევები და შეხვედრები სასწავლო წლის მანძილზე. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის საათობრივ ბადეში გავითვალისწინოთ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილები.**ინდიკატორი შეაბამისობაშია**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს სკოლა კარიერული წინსვლის და პროფესიული ორიენტაციისათვის მუდმივად ზრუნავს. პრაქტიკაში დანერგილია შეხვედრები კურსდამთავრებულებთან, რომლებიც უკვე წარმატებული არიან საქმიანობაში, ან წარმატებით აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იკვლევს სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს სასწავლებლებში, ახდენს შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავს ღონისძიებებს სწავლა სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შეაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. დამრიგებლის პორტფოლიო
2. ინტერვიუ სკოლის დირექციასთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ ყველა პირობაა სკოლაში შექმნილი სსსმ მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისათვის. შესაფერისია გარემო, ხელმისაწვდომია თავისუფალი გადაადგილება პანდუსის მეშვეობით; სკოლის მატერიალური ბაზა, ადაპტირებული საპირფარეშო პირველ სართულზე. სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკითხებს,

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლას ამჟამად არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სასკოლო-სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების კონცეფციიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შეაბამისობაშია**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა.
2. სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას ამჟამად აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ორი მიმართულებით:

1. მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება. სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება“ ფარგლებში.ამჟამად სასკოლო ტრანსპორტს მოსწავლეები გადაჰყავს მხოლოდ 1 მიმართულებით.
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სპორტის მიმართულებით. შუახევის სპორტული ცენტრის ბაზაზე სკოლაში შექმნის ფაზაშია სექციური ჯგუფი ,,ქართული ჭიდაობის“ განვითარების მიზნით.

ინდიკატორი შეაბამისობაშია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის ტრანსპორტირება ხორციელლდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგარზდობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში. სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობენ ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლიდან მოშორებით (მეზობელ სოფელში) ცხოვრობენ. აღნიშნული მომსახურება ნებაყოფლობითია მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ქართული ჭიდაობის სექცია იფუნქციონირებს შუახევის სპორტული ცენტრის ბაზაზე სპორტულ ცენტრსა და სკოლას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.**ინდიკატორი შეაბამისობაშია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში ძირითადი და დამატებითი მომსახურების ნაწილში უსაფრთხოების ზომები დაცულია.ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, თავად სკოლის დირექტორია. სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით 01-02/08 16.09.2024 წ.დამტკიცებული სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლაში მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი,სადაც იკითხება სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესიც. **ინდიკატორი შეაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტირების დამადასტურებელი ტაბელი
2. მემორანდუმი დაბა შუახევის სპორტული ცენტრთან
3. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანალებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის **დაწყებითი**	☐ შეესაბამება X მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება X მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X f შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება **საბაზო**	☐ შეესაბამება Xმეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება Xმეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება Xმეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) **საშუალო**	☐ შეესაბამება X მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება Xმეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება Xმეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა იზრუნებს ამ პრაქტიკის დანერგვაზე. სკოლა ასევე დაგეგმვის ჯგუფის მეშვეობით გეგმავს კითხვარის შემუშავებას მოსწავლეთათვის და მშობლებისთვის, რათა მათი ინტერესები კიდევ უფრო მეტად იქნას გათვალისწინებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა ცდილობს კურიკულუმში შეიტანოს ისეთი დავალებები, რომლებიც მორგებულია სკოლის მოსწავლეთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ძირითადად საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, რომელშიც გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნულ თავისებურებები, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს. განსაკუთრებით გამოვყოფდი მათემატიკის, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივ კურიკულუმებს, მაგრამ სახელმწიფო ენისა,ესთეტიკის და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრების მიერ წარმოდგენილი კურკულუმები საჭირობენ დახვეწას და გამრავალფეროვნებას, რათა კურიკულუმებში მაქსიმალურად იყოს ასახული სასკოლო სააზოგადოების ინტერესი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან მუდმივად თანამშრომლობენ და ცდილობენ ერთობლივად შექმნან საინტერესო დავალებები თუ აქტივობები.დირექცია კი არის მათი მხარდამჭერი, მათ შორის სხვადასხვა რესურსების შეძენით.ეს არის სკოლაში სრულად განახლებული წიგნადი ფონდი,თუ მუსიკალური ინსტრუმენტები,სხვადასხვა სააგნის პლაკატები თუ ისტორიული და გეოგრაფიული რუკები, მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი თუ საკუთარი ხელით შექმნილი სხვადასხვა რესურსი(მაგ. კითხვების ყუთი) ეს ყველაფერი შესაძლებლობას აძლევს სასკოლო საზოგადოებას ურთიერთ თანამშროლობით შეიმუშავონ და დაგეგმონ სასკოლო კურიკულუმი.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით, მათ შინაარსს აცნობენ დაინტერესებულ პირებს ელექტრონული პლატფორმების საშუალებით, ასევე ხშირად მართავენ მშობელთა კრებებს, რათა მიაწოდონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის შინაარსის შესახებ, ყოველივე ამას ხელს უწყობს ისიც, რომ სკოლა არის მცირეკონტინგენტიანი და სასკოლო საზოგადოების წევრებს ახლო კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან.

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა ასახავს სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლის, მასწავლებელის, მშობლის, სკოლის ადმინისტრაციისა და დირექციის) ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. აღსანიშნავია, რომ როგორც სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგებთან გასაუბრებისას და დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა პედაგოგები აქტიურად ესწრებიან ტრენინგებს, საგნობრივ შეხვედრებს და კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს აქტიურად. ამჟამად წარმოდგენილია საბაზო, საშუალო და დაწყებითი საფეხურების კურიკულუმები. კათედრის წევრები ერთმანეთთან ათანხმებენ დავალებებს, შეფასებას. აჯერებენ, თუ როგორ იმუშავეს მოსწავლეებმა შუალედურ მიზნებზე კომპლექსური დავალებებით. შესაბამისად, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შესაძლებლობებს. სასკოლო ცხოვრებაში საკოლო საზოგადოების კიდევ უფრო მეტად ჩართულობის მიზნით იგეგმება შეხვედრები, ღონისძიებები ფორმალური და არაფორმალურ გარემოში. რაც დასტურდება სადამრიგებლო პორტფოლიოთი, სოცილურ ქსელში გამოქვეყნებული ღონისძიების ამსახველი ფოტო მასალით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. თვითშეფასების კითხვარი

3. საგნობრივი კურიკულუმები.
4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. შეფასების რუბრიკები
6. კათედრის სხდომის ოქმი
7. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
8. სადამრიგებლო პორტფოლიო

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად.ვინაიდან, კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ საბუნებისმეტყველო საგნებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ლაბორატორია, ძირითადად იყენებენ თვალსაჩინოებას ელ. რესურსების სახით. სასურველია გაკვეთილებზე გამოყენებული იყოს მარტივი, უსაფრთხო ექსპერიმენტები, მეტი ყურადღება დაეთმოს კეთებით სწავლას. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე „ეკო-კლუბი“, მოსწავლეები თემში გადიან სხვადასხვა ეკოლოგიურ პრობლემებზე სასაუბროდ, ბუნების დასასუფთავებლად. განახორციელეს პროექტი: „ ბიომრავალფეროვნება“ ამიტომ, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული და წარმოდგენილია შემდეგი საგნობრივი კურიკულუმები:

	დაწყებით საფეხურზე: III -IV კლასის ,,მე და საზოგადოება" , V-VI კლასის ,,ჩვენის საქართველო"; საბაზო საფეხურზე : ისტორია VII,VIII,IX კლასი, გეოგრაფია VII,VIII,IX კლასი, მოქალაქეობა VII კლასი ; საშუალო საფეხურზე: ისტორია X,XI,XII კლასი, საქ. ისტორია X,XI კლასი, გეოგრაფია X,XI,XII კლასი, მოქალაქეობა მე X კლასი; სამივე საფეხურზე, მხოლოდ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავებული კურიუკულუმები, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას. რაც გამოჩნდა სკოლის მიერ წარმოდგენილ, როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე განხორციელებულ პროექტებზე. სწორი აქცენტები გააკეთეს საფეხურის გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებებზე.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზებას. კურიკულუმში შერჩეული თემები და საკითხები, შემოქმდებითი აქტივობები შეესაბამება მოსწავლის ასკობრივ თავისებურებებს. თუმცა დაწყებით საფეხურზე, მე-5 და მე-6 კლასებში, რუსული ენის კურიკულუმები ნაკლებად არის ორიენტირებული მოსწავლეთა შემოქმდებითი უნარების განვითარებაზე. მეტ ყურადღებას ამახვილებს დასწავლაზე და ნაკლებად მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს, ნასწავლი ცოდნის გამოყენებით, რაიმე ტიპის შემოქმდებითი პროდუქტის შექმნაში (წერილობითი - მაგალითად: წერილი, პოსტერი. ზეპირი - დიალოგები, საკომუნიკაციო სიტუაციები).
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ნაწილი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები სამივე საფეხურზე და მუსიკის კურიკულუმები 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-9 კლასებში დაფუძნებულია შემოქმედებით დავალებებზე, რაც მოითხოვს სწავლების კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას. აღნიშნული კლასების კურიკულუმებში მოცემულ შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები, მათი წინარე ცოდნა და მათ ცხოვრებისეულ გამოცდილება.საშუალო საფეხურზე სკოლას არ წარმოუდგენია მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი, რის გამოც არ შეგვიძლია

	ვისმჯელოთ აღნიშნულ საფეხურზე მუსიკის საგანში კათედრის მიერ დაგეგმილი და განხორციელებულ აქტივობების შესახებ.

სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები არასრულად არის ორიენტირებული, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ხორციელდება სხვადასხვა სახის შემოქმედებითი დავალება, თუმცა ყოველივე ეს არასრულად არის ასახული საგნობრივ კურიკულუმებში, ამიტომ კარგი იქნება თუ ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა გაიზრდება.
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. მასში შერჩეულია ისეთი სპორტის სახეობები(მძლეოსნობა, ფეხბურთი, ფრენბურთი და სხვა), რომლებშიც ძირითადი აქცენტი კეთდება, ისეთი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, რომელიც მოსწავლის ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზეა ორიენტირებული. სწავლება ხდება მოსწავლის აქტიური ჩართულობით, რაც თავის მხრივ ზრდის მათ მოტივაციას.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს აქვს მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყოს მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და არასრულად მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე მოქალაქეობა** VII და IX კლასების კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის კურიკულუმები მოქალაქეობა** XI და XII კლასები, საქართველოს ისტორია XII კლასი 2.09.2025-8.092025 ვადაში

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საშუალო საფეხური ესთეტიკის კათედრის მუსიკის პროექტული სწავლ**ების კურიკულუმის წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში სკოლაში დაწყებით საფეხურზე, საგან მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო ფარგლებში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. საბაზო და საშუალო საფეხურზე, საგან გეოგრაფიასა და ისტორიაში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული დავალებები.

	კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება.დაწყებითი საფეხური: საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში სკოლაში დაწყებით საფეხურზე, საგან მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო ფარგლებში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში სკოლაში საბაზო საფეხურზე, გეოგრაფია,მოქალაქეობა და ისტორიაში წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. გამოთხოვის მიუხედავად ვერ მოხერხდა კურიკულუმების მოწოდება: მოქალაქეობა VII, IX,კლასები. იმისათვის რომ 2025 -2026 სასწავო წელი წარიმართოს მზაობით აუცილებელია სკოლამ წარმოადგინოს მოცემული საგნის კურიკულუმები. საშუალო საფეხური საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში სკოლაში, საგან გეოგრაფიასა და ისტორიაში კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პრობლემის გადაჭრა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა და სხვა. სამიზნე ცნებების გააზრებას ხელს უწყობს სწორად და მიზნობრივად შერჩეული დავალებები. კურიკულუმებში ძირითადად სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება. მხოლოდ მოცემულ საგნებში,მიუხედავად გამოთხოვისა მაინც არ აღმოჩნდა მოქალაქეობა X XI, საქართველოს ისტორია XII კლასი. იმისათვის რომ 2025 -2026 სასწავო წელი წარიმართოს მზაობით აუცილებელია სკოლამ წარმოადგინოს მოცემული საგნის კურიკულუმები. წარმოდგენილ მოქალაქეობის, ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმებთან მიმართებით

უცხოური ენები	უცხო ენების კურიკულუმები, ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზენებს. საგნობრივი სტანდარტების სამიზნე ცნებები და შედეგები მითითებულია შესაბამისი კლასების კურიკულუმებში და განვრცობილია შემოქმდებითი დავალების პიროებებთან. თუმცა, დაწყებითი საფეხურის, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში, რუსულ ენაში, სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები დაკონკრეტებული არ არის. საბაზო საფეხურზე, მე-9 კლასის, რუსული ენის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები სრულყოფილად მითითებული არ არის. ასევე მე-9 კლასის, რუსული ენის კურიკულუმში, შუალედური მიზნები, შემოქმდებითი დავალების პირობები, საჭიროებს დაკონკრეტებას. ხშირად ბუნდოვანია კონკრეტულად რა ტიპის პროდუქტის შექმნა იგულისხმება.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი, მეტნაკლებად, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები დაწყებით და საბაზო საფეხურებზე და საშუალო საფეხურზე ხელოვნების პროექტული სწავლების კურიკულუმი. კურიკულუმების ნაწილში სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, მოცემულია შესაბამისი რესურსები, თუმცა მთელ რიგ კურიკულუმებში არის სერიოზული ხარვეზები. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პირველი კლასის კურიკულუმში მუშავდება სამი სამიზნე ცნება ოთხის ნაცვლად, II – VI კლასების კურიკულუმებში მითითებული სამიზნე ცნებები და III - VI კლასების კურიკულუმებში მოცემული თემატური ბლოკები არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის დაწებით საფეხურზე საგნობრივი სტანდარტით გათვალიწინებულ მოთხოვნებს. მუსიკის V – VI კლასების კურიკულუმებში ასახული საკითხები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და შემოქმედებითი დავალებები არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის დაწებით საფეხურზე საგნობრივი სტანდარტით გათვალიწინებულ მოთხოვნებს. ამავე კლასების კურიკულუმებში მოცემულია მე-5 თემაც (ეთნოგრაფია და მუსიკა), რაც აღარ შედის მოქმედ საგნობრივ სტანდარტში. საბაზო საფხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VII კლასის კურიკულუმში მარტო ერთი თემატური ბლოკი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს, ხოლო IX კლასის კურიკულუმში არაა გაწერილი მესამე თემატური ბლოკი - ადამიანი და ხელოვნება. მუსიკის VII კლასის კურიკულუმში ძირითადი კონტექსტ მაგალითები და VIII - IX კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები არ შეესაბამება თემებს და ეროვნულ სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილ მოთხოვნებს. დახარვეზებულ კურიკულუმებში არ ჩანს კავშირები თემატურ ბლოკებს, საკითხებს, კონტექსტ-მაგალითებსა და შემოქმედებით დავალებებს შორის, რაც ხელს შეუშლის ეროვნული სასწავლო

	გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. მუსიკის VII - VIII კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი (კომპლექსური) დავალებების პირობები (მაგ. „თანამედროვე მუსიკა, ხალხური მუსიკა, კლასიკური მუსიკა“; „მოიძიე რიტმის შესახებ ისტორია“) არ შეესაბამება შემოქმედებითი ტიპის დავალების მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე სკოლას არ წარმოუდგენია მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი, რის გამოც არ შეგვიძლია ვისმჯელოთ ესგ-სტანდარტებთან საგნის სწავლების შესაბანისობის შესახებ.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები სრულად არ მიემართება ეროვნული სასწავლო

	გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შეინიშნება გარკვეული ტიპის ხარვეზები, მაგალითად, პირველ კლასში საერთოდ არ არის წარმოდგენილი ისეთი ტიპის დავალება, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სამიზნე ცნება გრამატიკაზე, გარდა ამისა, სკოლას არ წარმოუდგენია მეხუთე და მეექვსე კლასის კურიკულუმის ჩარჩოები, ფაქტობრივად ცარიელია მეშვიდე და მერვე კლასის კურიკულუმის ჩარჩოები, აუცილებელია, რომ შეივსოს სრულყოფილად სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სვეტი. მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შეინიშნება სასწავლო თემების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის აღრევა, რაზეც ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზია, ამიტომ აუცილებლად უნდა შესწორდეს, ხოლო მე-11 და მე-12 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში აუცილებლად უნდა აისახოს ის სასწავლო თემები, რაც სავალდებულოდ მუშავდება და ასევე, შესაბამისად, უნდა შეივსოს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სვეტიც.
მათემატიკა	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მასში გაწერილი თემები, სპორტის სახეობები იძლევა მოსწავლის ფიზიკური განვითარების შესაძლებლობას. ხოლო გაწერილი აქტივობები, როგორიცაა სასკოლო სპორტული ფესტივალი, მოძრავი თამაშები, კედლის გაზეთი, ბუკლეტები და სხვა მოსწავლის კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას განაპირობებს.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს წარმოდგენილი აქვს ორიგინალური, მის მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით

	სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში არასრულადაა წარმოგენილი გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. შეინიშნება გარკვეული ტიპის ხარვეზები, მაგალითად, ქართული ენის პირველ კლასის კურიკულუმში საერთოდ არ მუშავდება სამიზნე ცნება გრამატიკა.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია დაწყებით საფეხურზე** უზრუნველყოს **სახელმწიფო ენაში** პირველი კლასის კურიკულუმის წარმოდგენა რომელიც ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნება გრამატიკის დამუშავებაზე, მეხუთე და მეექვსე კლასის სრულყოფილი კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის** სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებებით სრულყოფილად შევსებული მეშვიდე და მერვე კლასის კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025-8.09.2025 ვადაში

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის** კათედრის მეათე კლასის კურიკულუმის ჩარჩო, თემებისქრონოლოგიური თანმიმდევრობით მე-11 და მე-12 კლასების სრულყოფილად შევსებული კურიკულუმები, 2.09.2025-8.09.2025 ვადაში

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში თვალსაჩინოებად სკოლა ძირითადად იყენებს სახელმძღვანელოს და ელექტრონულ რესურსებს, ტელესკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ დამზადებულ პრეზენტაციებს. მოძიებულ თემატურ მასალას. აქვთ ცხრილები, პლაკატები(რაც ჩანს გადაღებულ ფოტო- მასალაში) ვთვლი, რომ ლაბორატორიის არ ქონა სკოლაში ქმნის გარკვეულ შეფერხებას კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტის მისაღებად.ასევე ლაბორატორიის არ ქონა სკოლაში ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია კვლევა- ძიებაზე დაფუძნებული სწავლების.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით და საშუალო საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა.

	საბაზო და საშუალო საფეხურის შემთხვევაში, სკოლის მიერ წარმოდგენილი გეოგრფიისა და ისტორიის VII,VIII,IX ,მოქალქეობის VIII კლასის, გეოგრფიის X,XI,XII კლასების, მსოფლიო ისტორია X,XI,XII და საქ. ისტორიის X,XI კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. მხოლოდ VII და IX მოქალაქეობის კლასის კურიკულუმები, რადგანაც არ არის წარმოდგენილი შესაბამისად რა რესურსებით მუშავდება გვაქვს წარმოდგენა. საშუალო საფეხურის შემთხვევაში, სკოლის მიერ გადმოგზავნილ გეოგრფია, X,XI,XII კლასების, მსოფლიო ისტორია X,XI,XII და საქ. ისტორიის X,XI, კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის ვიდეო რესურსები და გაკვეთილები, El.ge-ის პორტალის რესურსები, სასწავლო რუკები და სხვა. XI,XII კლასი მოქალაქეობის კურიკულუმები, რადგანაც არ არის წარმოდგენილი შესაბამისად რა რესურსებით მუშავდება გვაქვს წარმოდგენა.
უცხოური ენები	სკოლის მიერ შერჩეული ძირითადი რესურები, სახელმძღვანელოები გრიფირებულია და ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის უცხო ენების სტანდარტებით გათვალისწინებული შედგების მიღწევაზე. დამატებითი ელექტრონული რესურსები ადეკვატურად არის შერჩეული და ასევე ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი, ძირითადად, უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი რესურსები (ტელესკოლა, მუზეუმების ვებგვერდები და სხვ), რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მუსიკის კურიკულუმში, მართალია, მითითებულია სამინისტროს რესურსები, მაგრამ არ არის მოცემული შესაბამისი ლინკები.

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევს სხვადასხვა რესურსს, რათა სწავლების პროცესი იყოს საინტერესო.
მათემატიკა	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ შემეცნებით აქტივობებში, რომლებიც მათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას ემსახურება. განსაკუთრებით მდიდარი საგანმანათლებლო რესურსებია

	შექმნილი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ასევე შემუშავებულია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გათვალისწინებული რესურსები, სპორტული მოედანი, სპორტული ინვენტარი, ჰიპერლინკებში ჩაშენებული პრეზენტაციები, თუ ელ. წიგნები რომლის გამოყენებაც ხდება სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა სწავლის შედეგების მიღწევას განაპირობებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა განივითარონ არა მარტო ფიზიკური თვისებები, არამედ გააცნობიერონ ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წამოდგენილია მრავალფეროვანი და საინტერესო საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას, იწვევს მათ ინტერესს და სწავლის შედეგების მაქსიმალურ მიღწევას. ინტერვიუს დროს პედაგოგმა ისაუბა იმ დამატებით რესურსებზეც, რომლებსაც იყენებენ საასწავლო პროცესშიც და რომლების ეფექტურობაც დადასტურებულია მოსწავლეთა წარმოდგენილ ნამუშევრებში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მიმართულების გაძლიერებით იმუშავეს ოლიმპიადის ამოცანებზე და თემებზე. მეორე ტურში მოსწავლე გადავიდა ეროვნულ ოლიმპიადაზე ქიმიაში. ამ ეტაპზე ი.ს.გ გეგმით არ სარგებლოს სკოლის არც ერთი მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ე.ს.გ.- ით მითითებულ ვადებში, რომელიც ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურზე: სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების. კურიკულუმებში სრულად არის გაწერილი კონტესტს მაგალითები, რესურსები, სავალდებულო თემებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დააფიქსირეს, რომ საბოლოო პროდუქტის არჩევანს მოსწავლეებს სთავაზობენ. შეთავაზებული სხვადასხვა დავალებებიდან ისინი თავად არჩევენ, რომელზე იმუშაონ გაწერილი შინარსის შესაბამისად. სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლე. საბაზო საფეხური-მხოლოდ წარმოდგენილ საგნისა და კლასის კურიკულუმების ფარგლებში გეოგრფიისა და ისტორიის VII,VIII,IX ,მოქალქეობის VIII კლასის : სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების. კურიკულუმებში სრულად არის გაწერილი კონტესტს მაგალითები, რესურსები, სავალდებულო თემებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დააფიქსირეს, რომ საბოლოო პროდუქტის არჩევანს მოსწავლეებს სთავაზობენ. საშუალო საფეხურზე მხოლოდ წარმოდგენილ საგნისა და კლასის კურიკულუმების ფარგლებში გეოგრფია, X,XI,XII კლასების, მსოფლიო ისტორია X,XI,XII და საქ. ისტორიის X,XI, კლასი : სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება

	მოსწავლეთა ინტერესების. კურიკულუმებში სრულად არის გაწერილი კონტესტს მაგალითები, რესურსები, სავალდებულო თემებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დააფიქსირეს, რომ საბოლოო პროდუქტის არჩევანს მოსწავლეებს სთავაზობენ.
უცხოური ენები	სკოლას ამ დროისთვის არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა გააჩნია სასკოლო სასწავლო გეგმითა და სხვა დოკუმენტებით გაწერილი რეგულაციები, რომლებიც აწესრიგებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პრინციპებს, შესაბამისად საჭიროების შემთხევაში, სკოლას გააჩნია მზაობა სასწავლო პროცესში გამოიყენოს ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს, განმარტეს, რომ მოსწავლეებთან იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგ: ამარტივებენ დავალებებს, მათი ინტერესების შესაბამისად არჩევენ სასწავლო თემებს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლებისა და დიფერენცირებული სწავლების ზოგად პრინციპებს და პედაგოგებს ესმით დიფერენცირებული მიდგომის მნიშვნელობა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში ისინი ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებას და მზად არიან ინკლუზიური სწავლების განხორციელებისათვის, თუმცა ამჟამად სსსმ მოსწავლე არ ჰყავთ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ბევრი მოსწავლე შესანიშნავად მღერის და ცეეკვავს. ამიტომ, კათედრა ხშირად აწყობს

	ისეთ ღონისძიებებს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ თვითგამოხატვა ცეკვისა და სიმღერის საშუალებით. ასეთი მიდგომები აძლიერებს მოსწავლეთა ინტერესს ესთეტიკური საგნების მიმართ, ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	სკოლა არის მცირეკონტინგენტიანი, კლასში მოსწავლეთა სიმცირის გამო სახელმწიფო ენის სწავლებისას გათვალისწინებულია ინკლუზიური სწავლების პრინციპები, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ყველა მოსწავლის შესაძლებლობები და ინტერესები იციან მასწავლებლებმა და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და წარმართვისას.
მათემატიკა	სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუირების შედეგად, მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში არის ინდგეგმების ნიმუშები, შაბლონები. მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის, თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაწერილი თემები: მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი და სხვა, თემის ფარგლებში გაწერილი შუალედური სასწავლო მიზნისთვის გათვლილი სპორტული ფესტივალები, მოძრავი თამაშები, ნახატების, კედლის გაზეთის, ბუკლეტების შექმნა სპორტის თემატიკით, გათვლილია მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და მათ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობაზე. თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შანსი განივითაროს ფიზიკური უნარები, მოიპოვოს თვითდაჯერებულობა და განამტკიცოს სოციალური ჩართულობა.

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზ მორგებული სასწავლო შინაარსი, შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგმა

	აღნიშნა, რომ აძლევევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. რაც შეეხება შეფასებას, აღნიშნა, რომ ეს არის საშუალება მოსწავლისთვის, გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას, რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია და დაწყებით საფეხურზე სწავლება მიმდინარეობს კლას/კომპლექტებში.

.5 მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ წარადაგინა შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და ეცნობა სასკოლო საზოგადოება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება. ამიტომ შეფასების რუბრიკები რიგ შემთხვევაში საჭიროებს კორექტირებას და დაკონკრეტებას. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას და დახვეწას მომავალი სასწავლო წლიდან. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგების ანალიზი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე მხოლოდ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით, სკოლა იყენებს ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემას, როგორც საშინაო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ

	უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე, მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. მოსწავლეებს აფასებენ საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი სამუშაოს კომპონენტებით. სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში. სკოლამ წარმოადგინა ასევე ზოგადი შეფასების რუბრიკები. რაც შეეხება სადიაგნოსტიკო წერებს, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას ჯერ არ აქვს ამის გამოცდილება არც ერთ საფეხურზე .თუმცა აქვთ მზაობა.
უცხოური ენები	უცხო ენებში, ხორციელდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სკოლას გადმოგზავნილი აქვს შეფასების რუბრიკები, კერძოდ ინგლისურ ენაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად, გამოყენებული შეფასება თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. თუმცა, რუსული ენის საგნობრივი კურიკულუმის შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და არ აჩვენებს მკაფიო კავშირს ესგ-ს სტანდარტის გრძელვადიან მიზნებთან. რუსული ენის რუბრიკებში მკაფიოდ არ ჩანს რომელი სამიზნე ცნება, საფეხურის შედეგი და შუალედური მიზანი (შემოქმდებითი დავალება) ფასდება, ამიტომ საჭიროებს დაკონკრეტებას და გაუმჯობესებას.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემები, სადაც გვხვდება როგორც შეფასების ზოგადი რუბრიკები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი შეფასების რუბრიკები. ეს უკანსკნელი მიმართულია კურიკულუმში გაწერილ შემოქმედებით დავალებაზე და დაფუძნებულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე მოცემულ თემატურ კონტექსტში. პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს დახვეწოს შეფასების სისტემა და შეიმუშავოს ახალი განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების სქემები.

სახელმწიფო ენა	დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, დაწყებით საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით, მაგრამ შეინიშნება გარკვეული ტიპის ხარვეზი, მაგალითად, პირველ კლასის კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი დავალება „პერსონაჟის დახატვა/გამოძერწვა“, რომელიც ორიენტირებულია სამ გრძელვადიან მიზანზე, ტექსტზე, სიტყვა, წინადადება, ტექსტზე

	და წარმოთქმულ და დაწერილ სიტყვაზე, მაგრამ შეფასების რუბრიკის მიხედვით ფასდება მხოლოდ სამიზნე ცნება ტექსტი. მსგავსი ხარვეზია სხვა დავალებების შეფასების რუბრიკებშიც, როგორც პირველ ისე მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში. გარდა ამისა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც წარმოადგინა კათედრამ, ძალზე ზოგადია და არ არის ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე, აუცილებელია მომზადდეს შეფასების უფრო კონკრეტული რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო და საშუალო საფეხურის სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის კათედრას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არცერთ საფეხურზე, ამიტომ რთულია იმის თქმა რამდენად შეესაბამება საგნობრივი ჯგუფის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
მათემატიკა	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება მათემატიკის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შეფასების შესაძლებლობებას იძლევა, ისეთ კრიტერიუმებით, როგორიცაა ფიზიკური თვისებები, უსაფრთხოებისა და თამაშის წესების დაცვა, გუნდური მუშაობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის გაცნობიერება. მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები კონკრეტული და სასწავლო მიზნების შესაბამისია. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ყოველი სასწავლო წლისთვის კათედრაზე ქმნიან და ავითარებენ, ხვეწენ შეფასების რუბრიკებს. მასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის, რომ განმავითარებელი შეფასება ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმთან და მიღწევის

	საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით, მაგრამ შეინიშნება გარკვეული ტიპის ხარვეზი, რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა და ძირითადად არ უკავშირდება კონკრეტულ დავალებას (შუალედურ მიზანს)

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოს სახელმწიფო ენაში** 1. განმსაზღვრელი შესაფსების რუბრიკებისა და 2. სრულყოფილად შევსებული განმავითარებელი შეფაების რუბრიკების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის**

1.საბაზო საფეხურისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება კონკრეტულად, ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.

2. საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის** კათედრის

1.საშუალო საფეხურისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და

2. საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება კონკრეტულად, ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად 2.09.2025-8.09.2025 წლის ვადაში წარმოდგენა

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი);
3. კათედრის სხდომის ოქმები;
4. ხელოვნება პროექტი 11 კლასში;
5. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (გაკვეთილზე ჩართულობის და მიღწევის დონის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა;პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება; თეორიული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება);სოლო ტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები; პროექტი ,,კულტურული მემკვიდრეობა“ - შეფასების რუბრიკა;
6. შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის სარეკომენდაციო ფორმა;
7. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

8. ინტერვიუ პედაგოგებთან
9. თვითშეფასების კითხვარი
10. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო მასალა;
11. განხორციელებული სპორტული აქტივობების და ღონისძიებების ჩამონათვალი:
12. კომპლექსური დავალების ნიმუში მათემატიკაში, განმავითარებელი შეფასებით;
13. მათემატიკის კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
14. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა მათემატიკაში;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. იგეგმება ინტეგრირებული გკვეთილები , ურთიერთდასწრება . ძირითადად სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; თითოეულ კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები,

	ამოცანები და შედეგები კონკრეტული საგნის, კლასისა და საფეხურის მიხედვით; სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში მოუწიათ კურიკულუმებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რასაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას.
უცხოური ენები	ვიზიტის დროს, მასწავლებლეთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისად.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუდან გამომდინარე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართებოდა კურიკულუმების შესაბამისად. თუმცა, იკვეთება კურიკულუმების შეუსაბამობა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. არ ჩანს კავშირები თემატურ ბლოკებს, საკითხებს, კონტექსტ-მაგალითებსა და შემოქმედებით დავალებებს შორის, რაც ხელს შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პირველი კლასის კურიკულუმში მუშავდება სამი სამიზნე ცნება ოთხის ნაცვლად, II – VI კლასების კურიკულუმებში მითითებული სამიზნე ცნებები და III - VI კლასების კურიკულუმებში მოცემული თემატური ბლოკები არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის დაწებით საფეხურზე საგნობრივი სტანდარტით გათვალიწინებულ მოთხოვნებს. მუსიკის V – VI კლასების კურიკულუმებში ასახული საკითხები, ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და შემოქმედებითი დავალებები არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის დაწებით საფეხურზე საგნობრივი სტანდარტით გათვალიწინებულ მოთხოვნებს. ამავე კლასების კურიკულუმებში მოცემულია მე-5 თემაც, რაც აღარ შედის მოქმედ საგნობრივ სტანდარტში. საბაზო საფხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების VII კლასის კურიკულუმში მარტო ერთი თემატური ბლოკი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს, ხოლო IX კლასის კურიკულუმში არაა გაწერილი მესამე თემატური ბლოკი - ადამიანი და ხელოვნება. მუსიკის VII კლასის კურიკულუმში ძირითადი კონტექსტ მაგალითები და VIII - IX კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები არ შეესაბამება თემებს და ეროვნულ სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილ მოთხოვნებს. მუსიკის VII - VIII კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი (კომპლექსური) დავალებების პირობები (მაგ. „თანამედროვე მუსიკა, ხალხური მუსიკა, კლასიკური მუსიკა“; „მოიძიე რიტმის შესახებ ისტორია“) არ შეესაბამება შემოქმედებითი ტიპის დავალების მოთხოვნებს. საშუალო საფეხურზე სკოლას არ წამოუდგენია მუსიკის კურიკულუმი, რაც არ გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ, თუ როგორ დაიგეგმა და წარიმართებოდა მუშაობა

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმი.
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს როგორც ცოდნის გაგების და გამოყენების უნარის, ასევე მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. დაწყებით საფეხურზე, კლას-კომპლექტებში მათემატიკის სწავლება ხორციელდება მსგავსი თემების დამუშავებით სამიზნე ცნებების მიხედვით. განსაკუთრებით მესამე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, პროექტები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში თემები, სპორტის სახეობები შერჩეულია სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე. აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას განაპირობებს, ხოლო სასწავლო პროცესს ეფექტურს ხდის.აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმილის შესაბამისად ხორციელდება.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებს ახლავს რეფლექსიები და მოსწავლეთა ნამუშევრები, საიდანაც დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს პედაგოგმა ისაუბრა განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებებზე, პროექტებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებზე, საუბრისას მკაფიოდ ჩანს, რომ აქტიურად მიმდინარეობს შემუშავებული კურიკულუმის განხორციელება. თუმცა გეგმავს რიგი ცვლილებების შეტანას ახალი სასწავლო წლიდან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, ეს დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** უზრუნველყოს **საბაზო საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის VII და IX კლასების მოქალაქეობის კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025—8.09.2025 ვადაში.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს **საშუალო საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის XI,XII კლასის, მოქალაქეობა და XII კლასი საქ. ისტორიის კურიკულუმების წარმოდგენა 2.09.2025-8.09.2025 ვადაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მუდმივად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს და შესაბამისად წარმართავენ საგაკვეთილო პროცესებს, ატარებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებშიც წინ წამოწეულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა კათედრის მიერ, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. შეფასება ხორციელდება სამი კომპონენტით: საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას და დახვეწას მომავალი სასწავლო წლიდან. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის შექმნილ რუბრიკებს, რომლებიც ერთობლივი თანამშრომლობით არის

	შექმნილი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა მოლოდინები აქვთ პედაგოგებს მათ მიმართ და რისი ცოდნა მოეთხოვებათ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებები და დეტალურად გაწერილი შეფასების სქემები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. საბაზო და საშუალო საფეხურზე გასაწერი კურიკულუმების წარმოდგენის საფუძველზე პროცესში კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება კონკრეტული საგნში კონკრეტული კლასებისთვის. საბაზო საფეხური: VII და IX მოქალაქეობა საშუალო საფეხური: XI, XII კლასი მოქალაქეობისა და XII კლასის საქ. ისტორია
უცხოური ენები	შეფასება საჭიროების დახვეწას და ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებას. იმისთვის, რომ შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი და უნდა ჩანდეს მათი კავშირი სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედგებთან. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს განმარტეს, რომ შეფასების რუბრიკებს აცნობენ მოსწავლეებს, იმისთვის რომ მოსწავლეებისთვის ცნობილი იყოს, თუ რის მიხედვით ფასდებიან. აუცილებელია, შეფასების რუბრიკები იმგვარად იქნას ადაპტირებული, რომ მოსწავლისთვის ადვილად გასაგები და აღსაქმელი იყოს.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ სწავლების ყველა საფეხურისთვის წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შემოქმედებითი დავალებების, პროექტების, პრეზენტაციების, დისკუსიების, შემაჯამებელი და ტესტური დავალებებისთვის. კრიტერიუმების შემუშავება და დამტკიცება ხორვციელდება კათედრის სხდომებზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეთათვის ცნობილია და გამოკრულია საკლასო ოთახებში. ესთეტიკის კათედრას ორივე საგანისთვის შემუშავებული აქვს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული შეფასების კრიტერიუმების ნიმუშები. სასურველია ამ ტიპის კრიტერიუმები მოერგოს ყველა თემატურ კონტექსტს.
სახელმწიფო ენა	სახელმწინო ენის სწავლებისას გამოყენებულია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, მნიშვნელოვანია

	მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.
მათემატიკა	მათემატიკის მასწავლებლები კათედრაზე უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, არიან ლიდერი მასწავლებლები, რომლებიც ქმნიან საინტერესო საგანმანათლებლო რესურსებს და უზიარებენ კოლეგებს. აქტიურად იყენებენ საგანმანათლებლო ელექტრონულ რესურსებს, Geo-gebra-ს. მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნილია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. მასში გასაგებადაა გაწერილი რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება მოსწავლის შეფასება. მოსწავლეებმა იციან, რომ მათი შეფასება მოხდება არამარტო ფიზიკური თვისებების განვითარებით, არამედ თამაშის, უსაფრთხოების წესების დაცვით, ემოციების მართვითა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების გაცნობიერებით.
ტექნოლოგიები	ამჟამად სკოლას აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური, რასაც ადასტურებს გაწერილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგებ და მისაწვდომია. ინტერვიუს დროს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის მუშაობენ შეფასების რუბრიკების დახვეწასა და განვითარებაზე და აპირებენ შეფასების სქემები გააცნონ სასკოლო საზოგადოებას და ჩართონ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

მასწავლებელთა მიერ ხორციელდება შეფასების ანალიზი, პედაგოგები აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების შეფასებების სტატისტიკასა და თვისობრივ ანალიზს, ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაბამისად წარმართავენ სასწავლო პროცესებს. გარდა ამისა, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უმეტეს შემთხვევაში ზეპირ უკუკავშირს. სკოლის თვით შეფასების კითხვარში იკითხება, რომ დირექტორის ადმინისტრაციულ- სამართლებლივი აქტით დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი, თუმცა სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იძებნება არც სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტებში და არც ადგილზე ვიზიტის დროს იქნა წარმოდგენილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება ინტერვიუების საფუძველზე. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა ახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ მატერიალური/ ელექტრონული ფორმით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება(მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი);
2. კათედრის სხდომის ოქმები;
3. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;
4. ხელოვნება პროექტი 11 კლასში;

5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
6. სკოლის შინაგანაწესი
7. ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის ბრძანება
8. სასკოლო სასწავლო გეგმა
9. მათემატიკის კათედრის ანგარიში;
10. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები
11. შეფასების სქემები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები ძირითადად არის სახელმძღვანელო და ელ. რესურსები, ასევე, საბუნებისმეტყველო საგნებში არის პლაკატები, ფიზიკის რამდენი ხელსაწყო. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ლაბორატორია და რესურს ოთახი(ამ ეტაპზე არ ყავთ სსსმ მოსწავლე)
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურზე სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, სხვა დამხმარე რესურსი. კერძოდ, ელექტრონული რესურსი, ვიდეო რესურსი, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმები, რუკები, პოსტერები, პლაკატები, რაც დადასტურდა პედაგოგებთან გასაუბრებით და ასევე ასახულია საგნობრივ კურიკულუმებში. საბაზო და საშუალო საფეხურზე, რადგან არ არის წარმდოგენილი კურიკულუმები მოცემულ საგნებში: VII, IX XI,XII კლასი მოქალაქეობისა და XII კლასის საქ. ისტორია ვერ ხდება სრულყოფილი შეაფასება რამდენად იყენებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებს სასწავლო პროცესში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, თუმცა წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ,რომ სკოლაში არსებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოყენება სასწავლო პროცესში.

უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსები, გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსებად წარმოდგენილია - ელექტრონული რესურსები. რის საშუალებასაც სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა. თუმცა, საბაზო საფეხურზე, მე-7 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში დამატებითი ელექტრონული რესურსის ზოგიერთი ლინკი არ იხსნება.
ესთეტიკური აღზრდა	ოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. აუდიო-ვიდეო მასალების საჩვენებლად მასწავლებლებს საშუალება აქვთ კლასში გამოიყენონ კომპიუტერი და პროექტორი. გარდა ამისა, სკოლას გააჩნია მუსიკალური ინსტრუმენტები (ჩონგური, ფორმონი, სინთეზატორი, დოლი) რაც მრავალფეროვანი საკლასო ან კლასგარეშე აქტივობების ჩატარების საშუალებას იძლევა. სახელმძღვანელოების გარდა, მასწავლებლები ცდილობენ მრავალფეროვანი აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენებას. მაგალითად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში ჩართულია ტელესკოლის, სხვადასხვა საგამოფენო სივრცის ბმულები, ორივე საგნის მასწავლებლები ოფიციურად მიმართავენ სამინისტროს მიერ შექმნილ დამხმარე მასალას. საშუალო საფეხურზე სკოლას არ ფორმოუდგენია მუსიკის პროექტული სწავლების კურიკულუმი, რის გამოც არ შეგვიძლია ვისმჯელოთ ზემოთ აღნიშნულ საფეხურზე მუსიკაში გამოყენებული რესურსების შესახებ.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ისე სხვა, მრავალფეროვანი დამხმარე მატერიალური თუ ელექტრო რესურსები.
მათემატიკა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს.

სპორტი	წარმოდგენილ კურიკულუმში გაწერილი თემების, სპორტული სახეობების და მათ შესაბამისად დაგეგმილი სპორტული აქტივობებისთვის გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რაც თავის მხრივ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში აქტიურობასა და ჩართულობას განაპირობებს.
ტექნოლოგიები	შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, კურიკულუმში ჩაშენებულია საგანმანათლებლო რესურსების ბმულები და მაგალითები შედარებისთვის, რომლების განხილვა და გამოყენება მოსწავლეთა მხრიდან სწავლის შედეგების

	მიღწევას უზრუნველყოფს. წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრებიც, რომლებიც ადასტურებს ძირითადი და დამხმარე რესურსების ეფექტურობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე სკოლა საჭიროებს დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმის გააქტიურებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე წლის ბოლოს ახდენს დამხმარე რესურსის შერჩევას, გადამოწმებასა და დამტკიცებას. კათედრაზე რესურსები მოწმდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. ვალიდაციას ახორციელებს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას და თანმიმდევრულობას სასწავლო პროცესში.
უცხოური ენები	უცხო ენების კათედრის მიერ შეარჩეულია რესურსები მისი სარგებლიანობისა და კურიკულუმის მიზნების საფუძველზე. სკოლას გადმოგზავნილი აქვს რესურსების ჩამონათვალი, როგორც ძირითადი, ისე ელექტრონული, რაც დასტურდება უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს რესურსების ვალიდაციის წესი, რომლის შესაბამისად ხორციელდება კურიკულუმისთვის შერჩეული დამატებითი რესურსების ვალიდაცია.
ესთეტიკური აღზრდა	მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრის სხდომებზე ძირითადი რესურსის შერჩევასთან ერთად.
სახელმწიფო ენა	ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოსაყენებელი დამხმარე რესურსების შესაბამისობას ადგენს კათედრა სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

მათემატიკა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, ტელესკოლიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.
სპორტი	სკოლას შემუშავებული აქვს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი, სადაც გაწერილია, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დამხმარე რესურსი. სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, სტანდარტებსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან.
ტექნოლოგიები	გამოყენებული დამატებითი რესურსები შერჩეულია კოლეგების ეფექტური თანამშრომლობისა და კათედრათა შორის აზრთა გაზიარების შედეგად. რასაც ადასტურებს მასწავლებელთან ინტერვიუ და კათედრის ოქმი .
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოცემულ ეტაპზე კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს ძირითადად სახელმძღვანელოთი და დამხმარე ელექტრონული რესურსებით, კომპიუტერებით. არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი. ეს მატერიალური რესურსი რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით სამივე საფეხურზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე სახელმძღვანელოებს. ასევე სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება გეოგრაფიული და ისტორიული რუკები. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად.
უცხოური ენები	სკოლა არის მცირე კონტიგენტიანი, გააჩნიია საკმარისი რაოდენობის რესურსები უცხო ენების კურიკულუმის მინზების მისაღწევად. ძირითადი რესურსები, სახელმძღვანელოები, მიეწოდება სამინისტროს მიერ, რაც შეეხება დამატებით რესურსებს, სკოლას აქვს კომპიუტერები, პროექტორი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომლებსაც აქტიურად იყენებენ დამატებითი ელექტრონული რესურსების (მაგ: სასწავლო ვიდეორგოლები) მოსწვლეებისთვის მისაწოდებლად.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. პედაგოგებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კომპიუტერით, პროექტორით, დინამიკებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით. გარდა ამისა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომი ნებისმიერი მოსწავლისთვისაც. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წვდომას დამატებით საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის საგნებისათვის. ყოველივე ეს ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას და ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	მატერიალური ბაზის დათვალიერებისას და ინტერვის დროს გამოიკვეთა, რომ ყველა კლასს აქვს თავისი საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებულია ინდივიდუალური მერხები და სკამები.

	სკოლას აქვს კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სახელმწიფო ენის სწავლებისას.
მათემატიკა	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მრავალფეროვანი რესურსები, როგორც მატერიალური ასევე ციფრული და შეუძლიათ ერთდროულად რამოდენიმე კლასთან ჩაატარონ ხარისხიანი გაკვეთილი, ყველა მოსწავლე იყოს დატვირთული მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების კითხვარის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, სასწავლო თემების შესაბამისად იყენებენ საგანმანათლებლო რესურსებს, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი სააზროვნო უნარების განვითარების დინამიკას.
სპორტი	სკოლაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, სტანდარტებსა და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. მისი გამოყენებით დაგეგმილი აქტივობები არის საინტერესო, დაძლევადი და საკმარისია მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად.
ტექნოლოგიები	სკოლაში არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა საზიარო სივრცეები აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ტექნიკით, რაც სწავლის შედეგების მიღწევას რეალურს ხდის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, სხვადასხვა რესურსები, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** საბაზო და საშუალო საფეხურისათვის უზრუნველყოს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის** მოწყობა და აღჭურვა 01.05.2025—01.05.2026 ვადაში.

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსი. სკოლის პერსონალს წრმადგენს 24 ადამიანი. აქედან 16 არის პედაგოგი. 1 მენტორი, 2 წამყვანი, 10 უფროსი, 1 მაძიებელი და 2 უსტატუსო. ყველა საგანს ასწავლის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, გარდა სამოქალაქო განათლებისა. აღნიშნული მიმართულებით სკოლას ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია, მაგრამ რთული რელიეფური პირობების და მკაცრი კლიმატის გამო (სკოლა მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 1300მ.-ზე, სადაც ზამთარი დაახლოებით 5-6 თვე გრძელდება)ვაკანსიაზე არ დარეგისტრირებულულა არცერთი კადრი.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი);
2. კათედრის სხდომის ოქმები;
3. უცხოური ენის და ესთეტიკის კათედრის N1 ოქმის დანართი - რესურსების ჩამონათვალი;
4. რესურსების ვალიდაციის წესი;
5. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები
6. ხელოვნება პროექტი 11 კლასში;
7. კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი;
8. პროექტორების მიღება-ჩაბარება;
9. მუსიკალური საკრავების ფოტოები.
10. მატერიალური რესურსების შესახებ სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა
11. მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
12. ვალიდაციის დოკუმენტი
13. განხორციელებული პროექტების, კომპლექსური დავალებების ამსახველი მასალა მათემატიკაში;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში მოაზრებულია კონკრეტული საკითხები კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შესახებ. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმაში აღნიშნულია, რომ გამოკვეთილი საჭიროებებისამებრ იგეგმება შემდგომი აქტივობები, რათა აღმოიფხვრას კონკრეტული ტიპის ხარვეზები. მონიტორინგის მეთოდოლოგია მოიცავს კურიკულუმის დანერგვის პროცესებზე დაკვირვებას, გამოწვევების/პრობლემების აღნუსხვას-გაზიარებას კათედრის წევრებს შორის და ერთობლივად ინტერვენციების მოფიქრებას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკულუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

საგნების სწავლებისას გამოიყენება შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები, რათა დადგინდეს თუ რა საჭიროებები აქვთ მოსწავლეებს, პრობლემის გამოკვეთა ეხმარება მასწავლებლებს მისი გადაჭრის გზების სწორად დაგეგმვაში.მასწავლებლები წინასწარ შედგენილი განრიგით ესწრებიან კათედრებზე და კათედრებს შორის თანამშრომლობით გაკვეთილებზე, სკოლაში დანერგილია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით: პოზიტიური სასწავლო გარემო, განმავითარებელი კომენტარებისა და უკუკავშირების ეფექტიანად გამოყენება, დიფერენცირებული სწავლება,საგანთა შორის ინტეგრირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.მასწავლებლები კათედრებზე, წლის დასაწყისში თავად ახორციელებენ კურიკულუმის რევიზიას და შექავთ გარკვეული ცვლილებები. სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს კურიკულუმის მონიტორინგის ჯგუფი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
2. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებლებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. მოსწავლეთა შეფასებისას ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინება; კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, პროექტებზე მუშაობისას. შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო დავალებების შესრულება...**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის

სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, ამას ხელს უწყობს მოსწავლეთა მცირე რაოდენობა. მოსწავლეთა შეფასებისას ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინება; კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, პროექტებზემუშაობისას.შემაჯამებელი, საშინაო, საკლასო დავალებების შესრულება...**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სასწავლო პროცესის შეფასების დროს სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდებს: დაკვირვება, კითხვარები, შემაჯამებელი დავალების გაანალიზების საფუძველზე მიღებული მონაცემების ანალიზი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრები შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც, მაგრამ შეფასების რუბრიკები მეტწილად, როგორც განმსაზღვრელი ,ისე განმავითარებელი არის ზოგადი და საჭიროებს დაკონკრეტებას.ყოველივე ეს კი მოგვცემს შესაძლებლობას შედგი იყოს სანდო და ვალიდური. სკოლაში შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ინფორმაციის შეგროვება მოხდეს საგნის მასწავლებლებისაგან,მოსწავლეებისაგან, მშობლებისგან.მასწავლებლები საჭიროებების კვლევისთვის იყენებენ ე.წოდებულ „კრიტიკულ მეგობარს“. შემაჯამებელ დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს.სკოლა გეგმავს სკოლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისინებით: მაგ.:მატერიალური ბაზისა და სასწავლო რესურსების მიხედვით; საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ადამიანური რესურსისა და მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამების/აქტივობების ეფექტურობის ანალიზის მიხედვით; სკოლის კურსდამთავრებულთა შედეგების და ა.შ.ყოველივე ეს კი სკოლას მისცემს შესაძლებლობას იყოს შედეგზე ორიენტირებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები
2. შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა
3. თვითშეფასების კითხვარი
4. საგნობრივი კურიკულუმები
5. ინტერვიუ პედაგოგებთან და სკოლის დირექციასთან.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლას აქვს სამოქმედო წლიური გეგმა და კურიკულუმი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ სასწავლო წლის ბოლოს აჯამებენ წლის განმავლობაში გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებს და შეაქვთ შესაბამისი ცვლილებები საგნობრივ კურიკულუმებში.სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**
   ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ეს გამოცდილება აისახება როგორც კლასის, ასევე საფეხურის დონეზე. ახალ კურიკულუმში ცვლილებები აისახება თემების განაწილების, დროის თუ შემოქმედებითი დავალებების ცვლილების კუთხით. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და

შეფასების შედეგებს. სკოლის დირექციის განმარტებით ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სასკოლო კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობდა მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტების საფუძველზე: ა) სწავლა-სწავლების მიზნები; ბ) სასწავლო რესურსები; გ) სწავლების მეთოდები და სტრატეგიები; დ) შეფასება და მათთან დაკავშირებულ ინსტრუმენტები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სახელმწიფო ენის კურიკულუმები
2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
3. სასკოლო სასწვლო გეგმა.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი: 1.08.2025

თარიღი: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ეთერი ბროლაძე

1. ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

2. ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

3. თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

4.ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

5. თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

6. ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

7. ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

8. ნატო გაბოშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

9. ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

10. ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)